საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 23 ივლისი. 2020 წ. №91 (9017) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ინფორმაციული ტერორიზმი

„ყეყეა ქვლეზეზე"...

მედია-კანალიზაცია



„დარწმუნებული ვარ, გამოძიება დაადგენს, რა მოხდა იმ ღამეს მცხეთაში. დარწმუნებული ვარ, მკვლელებს სათანადოდ მიეზღვებათ, მაგრამ იმათ რა ვუყოთ, კანონის სახელით ძვეყანაში სისხლის გუბეები რომ დააყენეს და იმავე კანონის სახელით ნახევარი საქართველო ციხეებში რომ გამოკეტეს?

სადაც სამართალია, იმათი ადგილი არის საპატიმროში და თუ სამართლიანობაა, ბოლომდე სამართლიანობა იყოს და მათი ადგილი ისეთ საპატიმროშია, როგორშიც წლების განმავლობაში თვითონ ამყოფებდნენ ადამიანებს.

იხ. 4 გვ.

შავი ზღვა - სასიცოცხლო საზღვაო გზა...

5

SEA BREEZE

რუსული მილიტარიზმი და საქართველო

9

აფხაზეთი რუს ტურისტებს კოვიდ-პასპორტით მიიღებს

3

კახა კალაძე:

პრესის გავრცელებას ხელი უნდა შევუწყოთ!

ვიაროთ სიყვარულის გზით!

7

„არიერ-გარდის" გამოძახილი

ისევ განგებ გაჩენილი ხანძრები!

რატომ ვერ პოულობს სამინისტრო კანონდამრღვევ მოქალაქეებს?

11

10

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების...

პრემიერა მთაში

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 25 ივლისს

საქართველო აშშ-ის ფასეული პარტნიორია...

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ 21 ივლისს 2021 წლის აშშ-ის ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის კანონპროექტი (NDAA) დაამტკიცა, რომელშიც აშშ-საქართველოს თანამშრომლობას ცალკე ქვეთავი ეთმობა (SEC. 1244. SENSE OF CONGRESS ON SUPPORT FOR GEORGIA), რაც მიანიშნებს საქართველოს მნიშვნელოვან როლზე ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, როგორც ევროპული უსაფრთხოების ნაწილი, საქართველო მოაზრებულია, როგორც აშშ-ის ფასეული პარტნიორი.

„დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებისადმი ერთგულებას. კონკრეტულად, კი, მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკას. ასევე, ხაზს უსვამს რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ მდგრადობის ამაღლებისა და შეკავების გაძლიერებისთვის, ლეტალური და არალეტალური შესაძლებლობებით საქართველოს დახმარებისა და რეგიონის სტაბილურობის მნიშვნელობას.

აღნიშნული ამოცანების მისაღწევად, დოკუმენტის თანახმად, წარმომადგენელთა პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას და მზადყოფნის ხელშეწყობას, ნატოს ძალებთან ურთიერთთავსებადობის გაუმჯობესებას და უსაფრთხოების მიმართულებით საქართველოსა და შავი ზღვის სხვა რეგიონულ პარტნიორებთან თანამშრომლობისა და ჩართულობის გაძლიერებას“, — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ადამ კინზინგერი: სანქციების ამოქმედებაზე საუბარი არასდროს ყოფილა

არ ვფიქრობ, რომ ასიგნებების კომიტეტის მიერ მომზადებული 15%-იანი საგარეო დახმარების გარკვეული პირობებით ხსენება, საქართველოსთან მიმართებით, პრობლემატურია. ვფიქრობ, მთავარი ისაა, რომ მსგავსი შემთხვევები არ წარმოადგენს იშვიათობას, როდესაც ამერიკელი გადასახადის გადამხდელი გასცემს ფულს მოკავშირე ქვეყნების დასახმარებლად, ისინი იმსახურებენ ცოდნას იმის შესახებ, რომ მათი ფული იმ მიზნით იხარჯება, რა მიზანიც მათ აქვთ, — ამის შესახებ რესპუბლიკელმა კონგრესმენმა ადამ კინზინგერმა „ქრონიკასთან“ ინტერვიუში განაცხადა.

„ვიცი, რომ ამ საკითხმა დიდი ყურადღება მიიპყრო საქართველოში, მაგრამ, მარტივად რომ ავხსნათ, ეს ნიშნავს, რომ ფული, რომელიც ამერიკელმა გადასახადების გადამხდელებმა გაიღეს, იხარჯება ჩვენი და ქართველი ხალხის ღირებულებების დასაცავად. არ ვფიქრობ, რომ თუ ამ პირობის სერტიფიცირება მოხდება, ეს დიდ პრობლემას შექმნის, თუმცა, სრულებით არ ველოდები, რომ საქართველოსთვის გამოყოფილი საგარეო დახმარების 15% შეჩერდება. ვიცი, რომ საქართველოში მხარეები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ ამ თემას, თუმცა მე ვიტყვი, რომ ჩვენს ქვეყნებს ძლიერი პარტნიორობა აკავშირებთ, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. ამ შემთხვევას სანქციის კლასიფიკაციას არ მივანიჭებდი. სანქცია ძალიან მკაფიო მიზანში იღებს ინდივიდებს ან მთავრობებს, სპეციფიკური ქმედებების მიზეზით, რომელიც ჩვენ არ მოგვწონს. საქართველოსთან მიმართებით, ეს ტექსტი სანქცია არაა. სანქცია იმ შემთხვევაში ამოქმედდებოდა, თუ, მაგალითად, სახელმწიფო მდივანი პომპეო იტყოდა, რომ ცუდი პროცესები მიმდინარეობს და ამის გამო შევწყვეტთ ფინანსურ დახმარებას. ეს არაა სანქციები, მეტიც, საქართველოსთან მიმართებით, სანქციების გამოყენებაზე საუბრები არასდროს გამართულა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ბლოგს, რომელიც ამ თემაზე წავიკითხე“, — განაცხადა კონგრესმენმა.

დოკუმენტში საუბარი საქართველოსთვის გასაწევ დახმარებაზე. კერძოდ, კანონპროექტში გაწერილია, რომ საქართველო 2021 წელს დახმარების სახით არანაკლებ 132 025 000 დოლარს მიიღებს.

ია მეტრეველი: ოქრუაშვილი ბუტა რობაქიძის საქმეზე პასუხისმგებლობას ვერ აიცილებს!

19 წლის უდანაშაულო ბავშვს წაართვეს სიცოცხლე, ეს არ აკმარეს და ბანდიტად გამოაცხადეს, — ამის შესახებ ბუტა რობაქიძის დედამ ია მეტრეველმა ირაკლი ოქრუაშვილის შესახებ განაცხადა.

„ოქრუაშვილი რას ამბობს, არ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი. ჩვენ პირველივე დღიდან ვითხოვდით ოქრუაშვილის პასუხისგებას, ვინაიდან ის იყო მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი და ყოვლად დაუშვებელია, არ ყოფილიყო საქმის კურსში. 19 წლის უდანაშაულო ბავშვს წაართვეს სიცოცხლე, ეს არ აკმარეს და ბანდიტად გამოაცხადეს. მაშინ წლისთავი იყო კრიმინალი „ნაციონალების“ მოსვლისა და საზოგადოებამ ჯერ არ ვიცოდით, ვისთან გვქონდა საქმე. ჩემით და სანდროთი დაიწყო ყველა ის საშინელება, რაც შემდეგ გააკეთა სააკაშვილის რეჟიმმა. სააკაშვილს და ოქრუაშვილს აქვთ ნათქვამი, რომ პატრულის იმიჯი არ უნდა შელახულიყო და ყველაფერი ჩაეფარცხათ იმისთვის, რომ საზოგადოებისთვის ეთქვათ, ესენი იყვნენ ბანდიტები. ოქრუაშვილი თავს იმართლებდა აბსურდული განცხადებით, მალევე გადავედი თავდაცვის სამინისტროშიო. ყველაფერი, რაც ჩემთვის ცნობილი იყო, დაადასტურა დონაძემ და ამხილა ოქრუაშვილი. ასევე, როგორც ვიცი, მიქაძემაც. ვერ აიცილებს პასუხისმგებლობას ოქრუაშვილი და პოლიტიკურს ვერ დაარქმევს ამ ყველაფერს, ვერ გაექცევა იმ ფაქტს, რომ ის იყო მინისტრი მაშინ. ოქრუაშვილი ახლა სააკაშვილთან ერთად დგას და ისევ ერთნი არიან, ეს ჩემთვის წარმოუდგენელია, მან სახე კიდევ ერთხელ გამოაჩინა“, — განაცხადა ია მეტრეველმა.

COVID-19-ზე მეშახტეების ტესტირების ალგორითმი მუშავდება

ვისაც ექნება მომატებული ტემპერატურა, მიმართონ შესაბამის ცხელების ცენტრებსა და ამბულატორიულ დაწესებულებებს. ასეთი რამდენიმე ათეულია ქვეყანაში და იქ ჩაიტარონ ტესტი. ეს ტესტი არის უფასო და სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

ამირან გამყრელიძემ ასევე განაცხადა, რომ სატვირთო ავტომობილების მძღოლების შემდეგ მუშავდება COVID-19-ზე მეშახტეების ტესტირების ალგორითმი. **„სატვირთო ავტომობილების მძღოლებს კორონავირუსზე ვამოწმებთ. ახლა მუშავდება მეშახტეების ტესტირების ალგორითმი“,** — აღნიშნა გამყრელიძემ. მან ასევე, განმარტა, თუ რომელი ჯგუფები ექვემდებერებიან კოვიდ-ტესტირებას. „დღეს ტესტირებას ექვემდებარება ყველა ე. წ. შესაძლო, ანუ საეჭვო შემთხვევა, ყველა კონტაქტირებული ინფიცირებული. ყველა კარანტინში მყოფი, მე-13 და მე-14 დღეს. ყველა პნევმონიით დაავადებული ნებისმიერ საავადმყოფოში.

„ტესტირებას ექვემდებარებიან, ყველა მოხუცთა და ბავშვთა სახლში მყოფი ადამიანები. სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს კოვიდცენტრებში, რეანიმაციულ და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, ასევე თვითიზოლაციიდან გამოსული პირები“, — განაცხადა გამყრელიძემ.

იაპონიის მთავრობა საქართველოს დაახლოებით 2.8 მლნ აშშ დოლარს გამოუყოფს

გუშინ საქართველოსა და იაპონიის მთავრობებს შორის არასაპროექტო გრანტის ფარგლებში, გაფორმდა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც იაპონიის მთავრობა საქართველოს მთავრობისთვის გამოყოფს 300,000,000 იაპონური იენის ოდენობის (დაახლოებით 2.8 მლნ აშშ დოლარი) არასაპროექტო საგრანტო დახმარებას, — ამის

შესახებ ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ავრცელებს. შესაბამის ნოტებსა და თანდართულ დოკუმენტაციას ხელი მოაწერეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა და საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტადაჰარუ უეჰარამ.

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი სამ უნივერსიტეტთან ითანამშრომლებს

გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ წამოწყებულ და დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროექტს ხელი მოეწერა. ღონისძიებაზე ფონდთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა გორის, თელავისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა.

ფონდის მიერ ინიცირებული პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაციას, დამატებითი მოტივაცია გაუჩინოს მომავალ პედაგოგებს, პარტნიორ უნივერსიტეტებში შექმნას მა-

ღალი აკადემიური მოსწრების აბიტურიენტების მოზიდვის მეტი შესაძლებლობა. ამ მიზნის მისაღწევად ფონდი მზადაა, სტიპენდიით წაახალისოს აღნიშნული სამი უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც ქვეყნის საშუალო განათლების პედაგოგიურ კონტინგენტს გააძლიერებს.

მიმდინარე წლიდან სტიპენდიები გამოიყოფა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც პედაგოგის პროფესიას ეუფლებიან და ამ სფეროში სამეცნიერო მუშაობას ახორციელებენ.

გეოლოგიური კვლევები სამეგრელო- ზემო სვანეთის ტერიტორიაზე

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე, საველე გეოლოგიური კვლევები განახორციელეს.

სააგენტოს განცხადებით, კვლევები გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკების შექმნას და მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. კვლევების ფარგლებში მიღებული საბოლოო შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დაცვას სტიქიურად განვითარებული გეოლოგიური პროცესების უარყოფითი ზემოქმედებისგან.

კახა კალაძე: პრესის გავრცელებას ხელი უნდა შევუწყოთ!

მთავრობის მორიგი სხდომა თბილისის მერიაში

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე მწვავე განცხადება გააკეთა.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, დედაქალაქში პარკირების წესების დარღვევაზე არსებული ჯარიმების ოდენობა იზრდება. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი თბილისის მერიის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა უკვე დაამტკიცა.

„სატრანსპორტო პოლიტიკისა და პარკირების რეფორმის ფარგლებში მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. მინდა, მათ ამისთვის მადლობა გადავუხადო. ცვლილებების თანახმად, ტაქსისთვის განკუთვნილ ადგილზე, სხვა სატრანსპორტო საშუალების პარკირება – 10 ლარის ნაცვლად, 50 ლარით დაჯარიმდება. აღნიშნული სივრცეები მხოლოდ A კატეგორიის ტაქსის მძღოლებისთვის არის გამოყოფილი; ელექტრომობილების დამუხტვისთვის განკუთვნილ ადგილებზე, სხვა სატრანსპორტო საშუალების პარკირებაზე ჯარიმა ამ შემთხვევაშიც, 10 ლარის ნაცვლად, 50 ლარი გახდება;

პარკირების ადგილებზე, განსაკუთრებით, ცენტრალურ ქუჩებზე გაჩერებული სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შემოსავლის მიღების (სამეწარმეო საქმიანობის) მიზნით, დღემდე მოქმედი 10 ლარის ნაცვლად, 100 ლარით დაჯარიმდება, ხოლო განმეორებით ჩადენის შემთხვევაში – 200 ლარით; სატრანსპორტო საშუალების გზაზე მიტოვება სამ თვეზე მეტი ვადით – 50 ლარით დაჯარიმდება; ძალიან ბევრი შემთხვევა ვიცით კონკრეტულ უბნებში, რაც მოსახლეობის წუხილს იწვევს. მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, ავტომანქანა კონკრეტულ ადგილზე მხოლოდ სამი თვით გააჩეროს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

გარდა ამისა, თბილისის მერმა აღნიშნა, რომ ყველა იმ პირს, რომელიც 2018 წლის 10 აპრილამდე კომპანია „სითი პარკმა“ დაჯარიმა, სანქციები გაუუქმდა. თბილისის მერმა საქართველოს პარლამენტს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

ამასთან, თბილისის მერის თქმით, დედაქალაქში არსებული მუნიციპალური და კერძო სასაფლაოების ტერიტორიაზე აღრიცხული დარღვევების აღმოსაფხვრელად, საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მზადდება.

„მუნიციპალური და კერძო სასაფლაოების ტერიტორიებზე სრული ქაოსია. ხშირია სასაფლაოების მოწყობის და მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის შემთხვევები, რომელზეც არანაირი სანქცია არ არსებობს. ასევე, ხდება მიწების მიტაცება. ხშირია საფლავზედა ნაგებობების უნებართვოდ მოწყობისა და უკანონო კონსტრუქციების განთავსების შემთხვევებიც. ეს ყველაფერი რომ მოვაწესრიგოთ, ამისთვის საკანონმდებლო ცვლილებებია მნიშვნელოვანი, რომელსაც ვამზადებთ...

მისივე თქმით, ცვლილებათა პაკეტი დასამტკიცებლად პარლამენტს გადაეგზავნება, რომ აღნიშნული მიმართულება დროულად მოწესრიგდეს.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისის მერია პრესის ჯიხურების ერთიან ვიზუალს შეიმუშავებს, რომელიც შესაბამის სამსახურებთან იქნება შეთანხმებული. პრესის რეალიზაციისთვის განკუთვნილი ჯიხურების განსათავსებლად, ქალაქში კონკრეტული ადგილები გამოიყოფა.

„ჯიხურებთან დაკავშირებით ჩვენი დამოკიდებულება ცნობილია და ამაზე არაერთხელ მისაუბრია. ჩვენთვის ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე ჯიხურების განთავსება მიუღებელია. პრესის ჯიხურები კონკურენციას ვერ უწევს იმ ჯიხურებს, რომლებიც სხვადასხვა პრუდუქციით ვაჭრობენ. იმისთვის, რომ ბეჭდურ მედიას დავეხმაროთ და პრესის გავრცელებას ხელი შევუწყოთ, გვინდა, რომ ქალაქში გამოიძებნოს შესაბამისი ადგილები, სადაც პრესის ჯიხურებს განვათავსებთ. რა თქმა უნდა, ჯიხურების დიზაინი და ვიზუალი აუცილებლად იქნება შეთანხმებული შესაბამის სამსახურებთან, რომ მათი დიზაინი ჩვენი ქალაქის ურბანიტიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა ვიცე-მერს ირაკლი ხმალაძეს აღნიშნულ საკითხზე მუშაობა და აუქციონის გამოცხადება დაავალა.

„მინდა, ვიცე-მერს ირაკლი ხმალაძეს დავავალო, რომ აუქციონის გამოსაცხადებლად მზადება დაიწყოთ და ამ მიმართულების განვითარებას ხელი შევუწყოთ. მსგავს ჯიხურებს მხოლოდ და მხოლოდ პრესის მიმართულებით მუშაობა მოუწევთ. დაამუშავეთ, განსაზღვრეთ კონკრეტული ადგილები და აუქციონი გამოაცხადეთ“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ სამგორის რაიონის გამგეობისა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს ქვემო სამგორში, ნაკადულის ქუჩის მესამე გასასვლელში არსებულ მიწის ნაკვეთზე განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებით, ადგილობრივებთან კომუნიკაციაც დაავალა.

„ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ადგილობრივი მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ძალიან აქტიურობდნენ, რომ ამ კონკრეტულ ადგილზე სპორტული მოედანი და რეკრეაციული სივრცე მოწყობილიყო. ჩვენ მოვახერხეთ, რომ ეს კონკრეტული მიწის ნაკვეთი მუნიციპალიტეტს გადმოეცა. მინდა, დავავალო როგორც სამგორის რაიონის გამგეობას, ასევე, ჩვენს სამსახურებს, რომ ადგილობრივების ჩართულობით განვსაზღვრეთ, თუ რისი გაკეთების სურვილი აქვთ ახალგზარდებს. მათი სურვილი იყო, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე საფეხბურთო მოედნის პროექტი განხორციელებულიყო. ჩვენი მხრიდან იქნება მხარდაჭერა და თანადგომა, ყველაფერი გაკეთდება ისე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში ვიქცევით. ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევთ რეკრეაციულ სივრცეებს, სპორტულ მოედნებს და ამ შემთხვევაშიც, პროექტი მაღალ დონეზე განხორციელდება. მთავარია, ადგილობრივების ჩართულობა“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე კეთილკეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის ამაღლების სტრატეგია დაამტკიცა.

აღნიშნული სტრატეგიის მიღება და მისი შემდგომი იმპლემენტაცია „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) 2018-2020 სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ერთ-ერთი ვალდებულებაა.

„როდესაც ვსაუბრობთ სხვადასხვა პროექტზე, რა თქმა უნდა, სწორი მენეჯმენტი მნიშვნელოვანია. ჯერ კიდევ საარჩევნო პერიოდში, იმ შვიდი პოლიტიკიდან, რომელიც პრიორიტეტად გვქონდა გამოცხადებული, ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სწორედ მართვა იყო. სწორი მართვისა და მენეჯმენტის გარეშე, შეუძლებელია, წარმატებაზე ვიფიქროთ. შესაბამისად, ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ მართვას, ამ მიმართულებით, მთელი რიგი რეფორმების განხორციელებას და გამჭვირვალობის კიდევ უფრო გაძლიერებას“, – განაცხადა კახა კალაძემ. თბილისის მერმა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებისთვის საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, USAID-სა და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ მადლობა გადაუხადა.

„რაც შეეხება სტრატეგიას, შეგვიძლია, განვსაზღვროთ ექვსი პრიორიტეტული მიმართულება: მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა და კომუნიკაციის გაუმჯობესება; ანგარიშვალდებულების გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; კორუფციული რისკების შემცირება; მერიის სისტემაში გამჭვირვალობის გაზრდა; ადამიანური რესურსების ეფექტურად მართვა; კეთილსინდისიერების ამაღლება. ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომ სხვადახვა რაიონში განსახორციელებელ პროექტებში, რაც შეიძლება მეტი მოქალაქე ჩაერთოს “, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, დედაქალაქის მერია ასევე, აქტიურად ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.

დედაქალაქის მერის განცხადებით, სტრატეგიის განხორციელება 2021-2023 წლების განმავლობაშია დაგეგმილი, რომლის ფარგლებშიც, ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობის სისტემის დასამკვიდრებლად, არაერთი სიახლე დაინერგება.

დედაქალაქის მერის განცხადებით, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნოდარ ტურძელაძე 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პირველივე ტურში ღირსეულად გაიმარჯვებს. თბილისის მერმა ნოდარ ტურძელაძეს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ მან წლების განმავლობაში, ვაკის რაიონის გამგებლის პოსტზე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. რაც შეეხება ნოდარ ტურძელაძის მიერ გამგებლის თანამდებობის დატოვებას, თბილისის მერის თქმით, ეს კანონით გათვალისწინებულ ვადებში მოხდება.

◎ ფიქრები ტელეეკრანთან

საქართველო არის ესე?

ორი პოეტი.
ორი აზრი.

ანა:

„მწყემსსა ჰკითხა:
– „რომელია ქართლის გზაი?“
მწყემსმა უთხრა:
– „საქართველო არის ესე!“

გალაკტიონი:

„არის ოჯახები, მაგრამ ეს არ არის საქართველო!“

* * *

რომელი უფრო მართალია?

* * *

„კავკასია.“

აქუბარდიას „ სპექტრი.“
სტუმარი – გუბაზ სანიკიძე.
უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს ბიძინა ივანიშვილს.
აქუბარდია შიგადაშიგ კვერს უკრავს.
არც ერთს რცხვენია და არც მეორეს.
არა, აქუბარდია ოდნავ დარცხვენილი ჩანს.
არა, არ ჩანს, იქ (მის კანტორაში) ხომ ორს ერთად ვერ უჩვენებენ.
მისი ოდნავ დარცხვენილი ხმა უხილავი აკომპანიმენტივით მოისმის.
სტუმარი მრისხანებს.
„აღარ ახსოვს“:
რას ამბობდა სულ რამდენიმე წლის წინათ სააკაშვილზე და რას ამბობს ახლა?!
რას ამბობდა ბიძინა ივანიშვილზე და ახლა რას ამბობს?!
ქაჯი. გოიმი. არაკაცი. მშიშარა.
ჩემი შენ გითხარიო...

* * *

ე. წ. „მთავარი.“

„ვანო ჯავახიშვილის შოუ.“
სტუმარი – ნინო ჯანგირაშვილი.
„ხუმრობს“, ღადაობს (მაპატიეთ) ბიძინა ივანიშვილზე, „იმედის“ ინტერაქტივებზე...
„აღარ ახსოვს“:
როგორ ღადაობდა (მაპატიეთ) იგივე ვანუა, წლების განმავლობაში, მის მეუღლეზე, მუდმივად ტაშტში ფეხებჩაწყობილ აქუზე.
კიდევ რამდენ ხანს უნდა იყოს ივანიშვილიო?! - ამაზეც მსჯელობს იმ აქუს თანამეცხედრე, ეკრანზე ყოფნის ხანგრძლივობით, მენტალობითა და აზროვნებით, ბრეჟნევს რომ დამსგავსებია.

* * *

„რუსთავი 2.“

გვარამიასგან თავდაღწეული, მაგრამ მისი ნარჩენებისგან დღემდე ვერგანთავისუფლებული.

„ნიკა არაბიძის შოუ.“

აქ ოჯახი განუყოფლადაა წარმოდგენილი:
გიგა ბოკერია და თამარ ჩერგოლეიშვილი.
ძირითადად, ცოლი საუბრობს.
ძირითადად, ხელებითა და ფეხებით.
ქმარი ერთ-ორ სიტყვას ხანდახან თუ ჩაურთავს.
ამ ვიდეოს ვიღაც ფბ-ში ასეთი კომენტარით გააზიარებს: „შემეცოდა ბოკერია.“

* * *

მე კი საქართველო მეცოდება.
მაპატიოს ანამ (ხომ იცის, როგორ მიყვარს), მაგრამ გალაკტიონი უფრო დაუნდობლად მართალია.

* * *

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, შემიძლია, ისევ და ისევ ღვთაებრივი ანას ღვთაებრივი სტრიქონებით ვანუგეშო:
„ჩემს განსაცდელად აგიშვია
რამდენი ბილწი,
ჩემს განსაცდელად, სულის ჩემის
ნათელთა კლებად!
სანთელი ჩემი მაინც წმინდად
და მშვიდად იწვის,
კანდელი ჩემი არც ზღვაურთა
მობერვით ქრება.“

* * *

ბატონო ბიძინა, თუ სამშობლოსთან პირნათელი იძნებით, ამდენი აშვებული ბილწიც ვერაფერს დაგაკლებთ.
ოღონდ, სამშობლოსთან იყავით პირნათელი.
და მუდამ გახსოვდეთ: „საქართველო არის ესე!“
და კანდელი ზღვაურთა მობერვითაც არ ჩაქრება.

* * *

და კიდევ: იძნებ ამიერიდან მაინც მოახერხოთ , რომ „ბილწთ არ შაეკრათ ზავითა.“
ხომ ხედავთ, სამაგიეროს როგორ გიხდიან?!

იოსებ ჭუმბურიძე

დიდი ხანია არაფერი დამიწერია.

მართლაც, რამდენიმე კვირაა და პირდაპირ გეტყვით: არა იმიტომ, რომ მეზარებოდა, ან თემა არ იყო, არ ვწერდი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დავიღალე ერთი და იგივეს ამოძახილით!

გავიგეთ, რომ ნაცები და მისი სატელიტები, რბილად რომ ვთქვა, ცუდები არიან და არჩევნებში თუ ხელისუფლება არ დაეხმარა, რაიმე სერიოზულ შედეგს ვერ დადებს... დავიღალე იმის ძახილითაც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები გვჩრიან ყოვლად უაზრო და ნორმალური, ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანისთვის მიუღებელ „იდეებს“, რომ ნინო ლომჯარია სახალხო დამცველი კი არა, სახალხო მტერია და კიდევ ათასი რამ.

„ცეკვა ძვლებზე“...

მედია-კანალიზაცია

დავიღალე ამ უკვე მარაზმში გადასული ე.წ. „პოლიტიკური ცხოვრებით“, რომელიც ჩვეულებრივი ბლეფია და ეს „ჩვენი“ ე.წ. პოლიტიკოსების უმრავლესობა მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ფიქრობს.

ვითომ ოპოზიცია იმაზე, თუ როგორ მიუცუცქდეს სახელმწიფო ბიუჯეტს, ხოლო უმრავლესობის წევრები ბიუჯეტის გარდა იმაზე, თუ ვადის გასვლის, ან მორიგი სისულელის გაკეთების შემდეგ, რომელი კომისიის, ან რომელი თბოელექტროსადგურის დირექტორის მოადგილედ გადაიყვანენ (ეს ჩადენილი სისულელის ხარისხზეა დამოკიდებული).

და ბოლოს, უმთავრესი – ე.წ. მედია, ჩვენი ძვირფასი „ლიბერალური მედია“.

ე.წ. ლიბერალური მედია, რომელიც წესით მოვლენების გაშუქებას, თუ სწორ ანალიზს უნდა გვთავაზობდეს, სინამდვილეში გადაიქცა რაღაც „ყველაფრისმცოდნე ექსპერტად“, რომლის აზრი ჯანდაცვისა თუ კრიმინალის შესახებ, საზოგადოებამ აუცილებლად უნდა მიიღოს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპების ნამდვილი სახე ყველამ კარგად ვიცოდით, მაინც არსებობდა რაღაც იმედი, რომ მათში რამე ადამიანური მაინც იქნებოდა, მაგრამ 19 წლის ბიჭის, გიორგი შაქარაშვილის ტრაგედიამ, ისინი საბოლოოდ გააშიშვლა.

ბევრჯერ მითქვამს, რომ იმ არსებების, რომლებიც ვითომდა ლიბერალური მედიისა და სიტყვის თავისუფლების საფარქვეშ შეფარებულნი მუდმივად სიბინძურეს, ტყუილს და ბოროტებას აფრქვევენ, შერცხვენას, დამუნათებას, ლანძღვას ან დამუქრებას აზრი არა აქვს.

აზრი არა აქვს ზუსტად იმ მიზეზის გამო, რა მიზეზითაც აზრი არ ჰქონდა ჩიკატელოსთვის რაიმეს თქმას. მისი ფსიქიკური მდგომარეობა რაიმე მორალურ პრინციპებს სრულიად გამორიცხავდა და სიცოცხლის აზრად თავისი მანიაკური ვნებების დაკმაყოფილება მიაჩნდა.

შემეძლო დამეწერა იმ უბედურების მიმართ ნორმალური საზოგადოების დამოკიდებულებაზე, მომეყვანა უამრავი მაგალითი ისტორიიდან, თუ ლიტერატურიდან, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ – აზრი არა აქვს!

ჩვენდა საუბედუროდ ქართველი საზოგადოება აღმოჩნდა იმ ხალხის მძევალი, რომელთათვისაც უცხოა ყოველგვარი ზნეობრივი, თუ უბრალო ადამიანური პრინციპები და ყოველ დღეს გრძნობს, თუ როგორ უჭერს ის მარწუხები, რაშიც ამ ექსპერტებმა მოგვაქციეს.

იმაზე საუბარი, თუ რისი ბრალია ეს, ძალიან შორს წაგვიყვანს და ამ წერილში მასზე საუბარი არ ღირს.

უბრალოდ მინდა ხაზი გავუსვა იმ მექანიზმს, რომელიც წესით ჩვენი დამცველი უნდა იყოს და საუბედუროდ (დიახ, სწორედაც რომ „საუბედუროდ“ და არა „სამწუხაროდ“) კი არ გვიცავს, პირიქით, მოძალადეთა მხარეს დგას.

შეიძლება ეს შედარება სხვა ფორმატში გარკვეულწლად მიუღებელი იყოს, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვა: როდესაც სახელმწიფო არ იცავს ტრაგიკულად გარდაცვლილი ბავშვის დედას, არ იცავს უმაღლესი ლეგიტიმაციის მქონე ადამიანს – პრეზიდენტს, ჩვენ, რიგით მოქალაქეებს რა გარანტია გვაქვს, რომ ამ აფთრების თავდასხმისგან რაიმე მექანიზმით დაცული ვიქნებით?

მაპატიეთ ამ სიტყვებისთვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი ტრაგედიის გაგების დროს, ყველანი უნებურად საკუთარ თავს ვაყენებთ იმათ ადგილას. სწორედ ეს ამძაფრებს იმ ემოციას, რომელსაც სხვა შემთხვევაში შედარებით მშვიდად გამოვხატავდი.

მცდარია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ არსებებს არავითარი პოლიტიკური ზნეობრივი მიზნები არ გააჩნიათ.

დიახ, როგორი „პოლიტიკური“ დატვირთვაც არ უნდა მისცენ თავიანთ განცხადებებს, აშკარაა, რომ ეს არსებები სრულად გავიდნენ იმ სტანდარტებიდან, რასაც პოლიტიკური ბრძოლა და თუნდაც ყველაზე რადიკალური პოლიტიკური ცხოვრება ჰქვია.

ეს არსებები თავიანთი ფსიქოლოგიური მდგომარეობით ჰგვანან იმ მანიაკებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ „სისხლით“, სხვისი ტკივილით იკვებებიან და ის „მიზანი“ რასაც ხელისუფლება ჰქვია, მათ მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რომ თავი ასე თუ ისე დაცულად იგრძნონ. რომ შინაგანად გაეზარდოთ დაცულობის და სრული დაუსჯელობის შეგრძნება.

არ ვიცი რა შეიძლება გაკეთდეს. იმაზე საუბარი, რომ „საზოგადოებიდან მოკვეთა“, მათთვის ფინანსური წყაროს გადაკეტვა და ერთის შეხედვით სხვა მრავალი ქმედება, შეიძლება სხვა დროს უპრიანი იყოს, მაგრამ დღეს, როდესაც იმ ვამპირების მზერა, რომლებიც ჩვენი ტკივილითა და უბედურებით იკვებებიან, ჩვენსკენაა მომართული და მათი სისხლიანი კბილები ახალ მსხვერპლს ელიან, იძულებული ვხდები დახმარება ან ისევ სახელმწიფოს ვთხოვო, ან თავად დავიცვა თავი.

და ბოლოს – იმაზე აპელირება, რომ ისინი ყველა ტრაგედიას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ, ტყუილია. ტყუილია, რადგანაც მათ არავითარი პოლიტიკური მიზანი არ გააჩნიათ!

ისინი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ტკივილითა და უბედურებით იკვებებიან და სხვა მიზანი,არ გააჩნიათ!

როცა საუბრობენ, რომ ე.წ. „ოპოზიცია“ თავისი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად მიზანმიმართულად ახერხებს სამართალდამცავების დისკრედიტაციას, იყენებს ადამიანურ ტრაგედიებს, ახდენს პოლიტიკურად კორუმპირებული ლობისტების მობილიზებას, საკუთარი მედია საშუალებებით ავრცელებს სიბინძურეს, ტყუილს, ბოროტებას, ხელოვნურად ძაბავს ქვეყანაში საზოგადოების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და მოკლედ რომ ვთქვა, სჩადის ისეთ დანაშაულებს (დიახ, სწორედაც რომ დანაშაულებს), რომლებიც აშკარა კრიმინალია, არის მცდარი შეფასება.

დღეს დიდი სიფრთხილეა საჭირო, დიდი სიფრთხილე, რადგანაც ისინი გადაიქცნენ კუთხეში მიმწყვდეულ აფთრებად, რომლებიც არა მარტო ინსტიქტის დონეზე, არამედ აშკარად ხედავენ, რომ მათი დრო საბოლოოდ დამთავრდა და ბოლო დარტყმისთვის მაქსიმალური მობილიზებით ემზადებიან.

წერილი მინდა დავასრულო ჩემი კოლეგის, **გიორგი იაკობაშვილის** ფეისბუკ-პოსტით, სადაც ფაქტობრივად ყველაფერია ნათქვამი:

„დარწმუნებული ვარ, გამოძიება დაადგენს, რა მოხდა იმ ღამეს მცხეთაში. დარწმუნებული ვარ, მკვლელებს სათანადოდ მიეზღვებათ, მაგრამ იმათ რა ვუყოთ, კანონის სახელით ქვეყანაში სისხლის გუბეები რომ დააყენეს და იმავე კანონის სახელით ნახევარი საქართველო ციხეებში რომ გამოკეტეს?

სადაც სამართალია, იმათი ადგილი არის საპატიმროში და თუ სამართლიანობაა, ბოლომდე სამართლიანობა იყოს და მათი ადგილი ისეთ საპატიმროშია, როგორშიც წლების განმავლობაში თვითონ ამყოფებდნენ ადამიანებს.

გუშინ ამ ნაძირალებმა მოკლეს გირგვლიანი, რობაქიძე, კრიალაშვილი, მოლაშვილი, გამცემლიძე, ირინა ენუქიძე...

დღეს ისინი კლავენ შაქარაშვილის დედას, შაქარაშვილის მამას, შაქარაშვილის ბიძას...

აგერ, სულ ახლახანს რუსთაველის გამზირზე სიამოვნებას იხანგრძლივებდნენ, ნელ-ნელა გუდავდნენ ზაზა სარალიძეს, მაგრამ არ დასცალდათ.

შაქარაშვილის ტრაგედიამ სულზე მოუსწროთ, „ცეკვა ძვლებზე“ მათი მოგონილია: ქორეოგრაფი მიხეილ საკაშვილი, ოპერატორი ზურაბ ადეიშვილი, გამნათებელი დავით კეზერაშვილი, კოსტუმების მხატვარი ნიკა გვარამია. ასრულებენ „გარეწრობაში პირველი“, „მთავარი ნაძირალა“ და „სიხარბის ფორმულა“, დადებითი რეცენზიის ავტორი ნინო ლომჯარია.

გამოყენებულია ხათუნა გოგორიშვილის „სამაია“ და გუბაზ სანიკიძის „კინტაური“.

ხომ გახსოვთ „ბელურების გადაფრენაში“ ის გაბურძგნული, პირსახოციანი ტიპი რომ დადის და გაიძახის: „ასე არ შეიძლება!“

ჰოდა, ახლა ეგ ტიპი მე ვარ და გეუბნებით: „ასე არ შეიძლება“!

როგორ?

როგორ და, ასე: არჩევნების წინ გვახსენდება, რომ მკვლელები და მოძალადეები ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას, და გვავიწყდება, რომ არჩევნებიდან არჩევნებამდეც აგრძელებენ იმას, რასაც არჩევნებით თუ არჩევნების გარეშე ხელისუფლებაში მოსვლით უფრო იოლად და ლაღად შეძლებენ – ძვლებზე ცეკვას.

რამდენიმე წლის წინათ „რუსთავი 2“-ის 20 წლის იუბილეზე ქართული მედიაკანალიზაციის მთელმა მსხვილფეხა გარეწრობამ მოიყარა თავი, მათთან სიახლოვით კი თავს იწონებდნენ „რ 2“-ის ყოფილი ჟურნალისტები, აწ კი საჯარო PR-მოხელეები.

ფოტოები სოციალურ ქსელში დაიყარა და ამხელა სივრცეში მგონი ერთადერთი მე ვიყავი აღშფოთებული.

„ჩაჯვის“ გაშლილ სუფრას როგორ უნდა მიუჯდე?! ჰო, ის მაშინ ჯერ კიდევ არ იყო „ჩაჯვი“, მაგრამ იყო ძვლებზე მოცეკვავე ექსპროკურორი.

ისინი გამარჯვების ყიჟინით ხვდებიან რუსების მიერ მავთულხლართით შეღობილ ქართული მიწის თითოეულ სანტიმეტრს, ოკუპანტების მიერ დაღვრილ ყოველ წვეთ სისხლს... ყველას გვახსოვს მათი გამარჯვების ყიჟინა 2008 წლის 12 აგვისტოს და კიდევ იმ დღეს, როდესაც გია ბარამიძემ გვახარა, რომ „მაპზე უკეთესი“ მოგვცეს.

ისინი გამარჯვების ყიჟინით შეხვდებოდნენ პანდემიის აფეთქებას, მიწისძვრას, წყალდიდობას, მეტეორს და მარცხს რუსეთთან რაგბში.

შაქარაშვილის ტრაგედიამ სულზე მოუსწროთ და ახლა კლავენ მის მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს და ყველას, ვისაც გული ტკივა.

ზოგს მოკლავენ, ზოგს ათქმევინებენ, რომ „ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ ღირს“, დანარჩენებს კი მერე მოუვლიან, „ვლასტს“ რომ დაიბრუნებენ, მათ ძვლებზე იცეკვებენ.

ამიტომ, უნდა დავასრულოთ!!!“

გია გაბრიჭიძე

რუსთავში კოსტავას გამზირი გალამაზდა

ქალაქის ისტორიული ქუჩა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილმა, რუსთავის მერმა, ირაკლი ტაბაღუამ, ქვემო ქართლის გუბერნატორმა შოთა რეხვიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ონიანმა გახსნეს.

„კოსტავას გამზირი არის ძველი ქალაქის ერთ-ერთი ისტორიული უბანი. პროექტი ორ ნაწილად იყო დაყოფილი და მოიცავდა, როგორც ფასადების სრულ რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას, ასევე გზის საფარის რეაბილიტაციას, არსებული რეკრეაციული სივრცის კეთილმოწყობას. ჩვენ აღნიშნული ტერიტორია აღვადგინეთ, პროექტის ხანგრძლივობა იყო დაახლოებით ერთი წელი და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დახმარებით მოვახდინეთ ამ ქუჩის სრული რეაბილიტაცია. ხედავთ, რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა, პროექტის საერთო ღირებულება 6 მილიონ ლარამდეა. ეს ერთ-ერთი ღირებული პროექტია, თუ არ ჩავთვლით სანიაღვრე სისტემის მოწყობის პროექტს, რომლის ღირებულება 13 მილიონ ლარამდეა“, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში რუსთავის მერმა ირაკლი ტაბაღუამ.

20 ივლისს უკრაინის საპორტო ქალაქ ოდესაში საზეიმოდ გაიხსნა ნატოს საერთაშორისო საზღვაო სწავლება „Sea Breeze – 2020“.

სწავლების ლეგენდა შავი ზღვის ერთ-ერთ კრიზისულ რაიონში გაერთიანებული ძალებით უსაფრთხოების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. სწავლებაში მონაწილეობს ნატოს ექვსი და ორი პარტნიორი ქვეყნის, უკრაინისა და საქართველოს, 2 000-მდე ჯარისკაცი, 27 გემი და 19 სამხედრო თვითმფრინავი.

ნატოს მრავალეროვნულ სწავლებაზე საქართველოს წარმოადგენს სადარაჯო ხომალდი „დიოსკურია“ (P25) და მისი ეკიპაჟი, რომელმაც მანამდე ბულგარეთში გამართულ ათდღიან საზღვაო სწავლება „Breeze 2020“-ში წლეულს პირველად მიიღო მონაწილეობა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სწავლებათა სცენარსა და მანევრების სამხედრო სარდლობის ოფიციალურ განცხადებებში აქცენტი მხოლოდ წარმოსახულ მოწინააღმდეგესა და ვირტუალურ საფრთხეზე კეთდება, შავი ზღვის რეგიონში რუსეთის მიერ უკრაინის ნახევარკუნძულ ყირიმის ანექსიის შემდეგ ყველასთვის ნათელია, თუ რომელი ქვეყანა წარმოადგენს რეალურ საფრთხეს დანარჩენი შავი ზღვისპირა სახელმწიფოებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ იმ დღეს, როდესაც უკრაინის ოდესის პორტში ერთიან საზეიმო მწყობრში იდგნენ ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მეზღვაურები, ყირიმის დასავლეთში მდებარე ქალაქ ქერჩში ჩავიდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, რომელიც მანამდე 16 ივლისს გეგმავდა იქ ჩასვლას.

სწორედ ანექსირებულ მიწაზე გამოცხადდა 20 ივლისს ექვსი ახალი საბრძოლო გემის მშენებლობის დაწყების შესახებ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის, რომელიც, პუტინის თქმით, „განსაკუთრებულ როლს ასრულებს რუსეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში და ხელს უწყობს მსოფლიოში სტრატეგიული ბალანსისა და სტაბილურობის დაცვას“.

SEA BREEZE რუსული მილიტარიზმი და საქართველო

ნარმოსახული მოწინააღმდეგენი და რეალური გამოწვევები

ვინაიდან პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობა ნატოსთვის ძალიან ფასობს, ამიტომ, კორონავირუსის ეპიდემიის გათვალისწინებით, მე-20, საიუბილეო, „Sea Breez“-ის სცენარში გარკვეული ცვლილებები შევიდა. კერძოდ, მინიმუმამდე შეიზღუდა სამხედროებს შორის კონტაქტი და სამხედრო სარდლობამ უარი თქვა სახმელეთო კომპონენტზე.

იმ ერთი კვირის განმავლობაში, როცა „Sea Breeze-2020“, ხატოვნად თუ ვიტყვით, ოდესის სანაპიროზე იქროლებს, მხოლოდ ავიაციას და გემებს მოუწევთ საერთაშორისო საზღვაო ოპერაციის ჩატარება შავი ზღვის ერთ-ერთ კრიზისულ რაიონში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ყველაზე კრიზისული რაიონი შავი ზღვის რეგიონში ამჟამად რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმის ნახევარკუნძულია, სადაც რუსეთის შავი ზღვის ფლოტის საარმიო კორპუსმა სწორედ „Sea Breeze-2020“-ის წინ ჩაატარა სწავლება საზღვაო დესანტის განადგურების მიზნით.

რუსული სწავლების სცენარშიც მთავარი ამოცანა ყოველთვის წარმოსახული მოწინააღმდეგის განადგურებაა, თუმცა სამხედრო მანევრის შენიღბულ ლეგენდაში ისევე არ იმალება რეალური მეტოქე, როგოც ხალთაში – შუბი.

რუსეთის სამხედრო უწყების ცნობით, სწავლება მაქსიმალურად მიახლოებული იყო საბრძოლო ვითარებასთან და მიზნად ისახავდა **„შავი ზღვის ფლოტის საარტილერიო მხარდაჭერით პირობითი მოწინააღმდეგის დესანტსაწინააღმდეგო ზღუდეების გარღვევას და ბრძოლით დაკავებულ სიმაღლეებზე მძლავრი თავდაცვითი პუნქტების შექმნას“.**

ამ მიმართულებაზე რუსეთის საოკუპაციო ძალებისათვის მთავარი გამოწვევა სევასტოპოლიდან, დაახლოებით, 600 კილომეტრით დაშორებულ ოდესაში განლაგებული უკრაინული სამხედრო-საზღვავო ძალებია.

2014 წელს, როდესაც რუსეთმა სამხედრო ძალით ხელთ იგდო ყირიმის ნახევარკუნძული, უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებმა დაკარგეს თითქმის ყველა გემი, მეზღვაურების უმრავლესობამ ან სამსახურზე თქვა უარი ან დეზერტირად იქცა. მოკავშირეების დახმარებით უკრაინა ცდილობს აღადგინოს სამხედრო-საზღვაო ძალები, რომლებიც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ მოწინააღმდეგის პირისპირ ფრონტის წინა ხაზზე იმყოფებიან.

ყველას კარგად ახსოვს ორი წლის წინანდელი საზღვაო ინციდენტი რუსეთსა და უკრანას შორის. 2018 წლის 25 ნოემბერს რუსეთის სასაზღვრო დაცვის გემებმა ცეცხლი გაუხსნეს უკრაინის სამ გემს, ხელში ჩაიგდეს ისინი და ტყვედ აიყვანეს უკრაინის 24 მეზღვაური. ინციდენტი მაშინ მოხდა ქერჩის სრუტეში, რომლის გავლითაც უკრაინული ხომალდები აზოვის ზღვაში უკრაინის პორტ მარიუპოლში შესვლას აპირებდნენ.

კატარღები „ნიკოპოლი“, „ბერდიანსკი“ და ბუქსირი „იან კაპი“ უკრაინამ შარშან ნოემბერში დაიბრუნა, რუსეთსა და უკრაინას შორის პატიმრების დიდი გაცვლის ფარგლებში.

მაგრამ უკრაინელი სამხედრო მეზღვაურები ოცნებობენ იმ დროზე, როდესაც ისინი კვლავ დაბრუნდებიან სევასტოპოლში – თავიანთი მთავარი ბაზირების საპორტო ქალაქში.

ამაზე სრულიად აშკარად მიანიშნა უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა, ვიცე-ადმირალმა ალექსეი ნეიჟპაპამ, რომელიც 11 ივნისიდან შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ მოსკოვის თვალში უკვე იქცა პერსონა ნონ-გრატად.

ნეიჟპაპა რუსეთს უწოდებს „იმპერიას“ და არ გამორიცხავს რუსეთთან ფართომასშტაბიან კონფრონტაციას, თუ რუსეთის ჯარი შეეცდება ყირიმიდან შეიჭრას ხერსონის ოლქში, რათა შესაძლებელი გახდეს მდინარე დნეპრის წყლის გაშვება ჩრდილოეთ ყირიმის არხში.

„მე არ გამოვრიცხავ ასეთ მოქმედებას რუსეთის იმპერიის მხრიდან. ჩვენ ვემზადებით. ყველაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ, აი, ერთი პატარა ფაქტი: სარაკეტო კომპლექს „ნეფტუნის“ სროლის სიშორე შესაძლებლობას იძლევა ის გამოყენებულ იქნეს მატერიკული უკრაინიდან სევასტოპოლის მისადგომებამდე. ჰოდა, მაშინ ვნახოთ“, – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში უკრაინელმა ვიცე-ადმირალმა ალექსეი ნეიჟპაპამ, რომელიც ზემოხსნებული „Sea Breeze-2020“-ის ხელმძღვანელია, როგორც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენელი.

რუსეთის სახიფათო მილიტარიზმი და ნატოს პასუხი

რუსეთში უკვე განაცხადეს, რომ ნატოს **შავი ზღვის ნაპირებზე აქტიურობა და სწავლება „Sea Breeze-2020“ რეგიონალურ უსაფრთხოებას კი არ აძლიერებს, არამედ ასუსტებს.**

ეს მორიგი ფრაზებია, რომელთაც რუსული დიპლომატია მანტრასავით იმეორებს ყოველთვის, იქნება ეს ნატოს სამხედრო მანევრები უკრაინაში თუ კავკასიელ მეზობელ საქართველოში.

მაგრამ ნატოს მრავალეროვნული სწავლებების ხანგრძლივობა და მასშტაბები ახლოს ვერ მივა საბრძოლო მზადყოფნის იმ ტოტალურ შემოწმებასთან, რომელიც ვლადიმირ პუტინის ბრძანებით 17 ივლისს დაიწყო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში და რომელიც სექტემბერში უნდა დასრულდეს მასშტაბური სწავლება „კავკასია-2020“-ით.

საბრძოლო განგაშის ბრძანება, რომ იტყვიან, დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ ვლადიმირ პუტინი ანექსირებულ ქალაქ ქერჩში ჩავიდა და იქიდან გამოაცხადა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის განკუთვნილი 6 ახალი საბრძოლო გემის მშენებლობის დაწყების შესახებ.

„დღეს რუსეთის წამყვან სამ გემთმშენებელ ქარხანაში საფუძველი ეყრება შორეული საზღვაო ზონებისათვის განკუთვნილი ექვსი ახალი გემის მშენებლობას. აქ, ქერჩში, ეს არის ორი უნივერსალური სადესანტო გემი, ორი ფრეგატი – სანკტ-პეტერბურგში და ორი ატომური წყალქვეშა კრეისერი – სევეროდვინსკში“, – განაცხადა ქერჩში მყოფმა ვლადიმირ პუტინმა 20 ივლისს, სწორედ იმ დღეს, როდესაც ოდესაში სტარტი აიღო ნატოს მრავალეროვნულმა სამხედრო-საზღვაო წვრთნამ, „Sea Breeze-2020“-მა.

პუტინის ეს სიტყვები მოწმობს, რომ, კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური რეცესიის მიუხედავად, რუსეთი აგრძელებს არმიის გადაიარაღების ძვირადღირებულ სახელმწიფო პროგრამას.

ამ ფონზე ძალიან საყურადღებოა ის განცხადება, რომელიც ოდესაში აშშ-ის მე-6 ფლოტის სარდალმა, იუჯინ ბლეკმა, გააკეთა.

„შავი ზღვა – ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საზღვაო გზა. ის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ვაჭრობისა და ევროპის სტაბილურობისთვის. ამიტომ, როდესაც ადამიანები მეკითხებიან, თუ რატომ ღებულობენ არა შავი ზღვის ქვეყნები მონაწილეობას („Sea Breeze- 2020“-ში), ჩემი პასუხია: იმიტომ რომ აშშ-ს, ნატოელ მოკავშირეებსა და პარტნიორ ქვეყნებს გაცნობიერებული აქვთ არა მხოლოდ შავი ზღვის სტაბილურობისა და კეთილდღეობის შენარჩუნების მნიშვნელობა, არამედ იმ შესაძლებლობის მნიშვნელობა, რომ ვიმოქმედოთ ერთად და შევაკავოთ მოწინააღმდეგის აგრესია“.

შავი ზღვის უსაფრთხოება და საქართველო

ნატოს მრავალეროვნულ საზღვაო სწავლება „Sea Breeze 2020“-ში წარმმართველი ხომალდის, ფლაგმანის როლს ასრულებს აშშ-ის მართვადი სარაკეტო გამანადგურებელი USS Porter-ი.

ამ გემს საქართველოში კარგად იცნობენ. სარაკეტო გამანადგურებელ USS Porter-ს სულ ახლახან, 23 ივნისს, ღუზა ფოთში ჰქონდა ჩაშვებული.

როგორც ვთქვით, ოდესაში მიმდინარე ნატოს მრავალეროვნულ სწავლებაზე საქართველოს წარმოადგენს სადარაჯო ხომალდი „დიოსკურია“ (P25) და მისი ეკიპაჟი.

ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის კუთვნილი მცურავი საშუალება, რომელმაც მანამდე ბულგარეთში გამართულ ათდღიან საზღვაო სწავლება „Breeze 2020“-ში წელს პირველად მიიღო მონაწილეობა. აქვე ვიტყვით, რომ „Sea Breeze“-სა და „Breeze“-ს შორის განსხვავება მინიმალურია.

თუ პირველ შემთხვევაში მასპინძელი ქვეყანა უკრაინაა, „Breeze“-ი ბულგარეთის საზღვაო ძალების ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება და მისი მიზანი, საზღვაო უსაფრთხოების განსამტკიცებლად, პარტნიორი ქვეყნების საზღვაო ძალებს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და ოპერაციული და ტაქტიკური ურთიერთქმედების გაძლიერებაა. შავ ზღვაზე მანევრები ნატოს დიდი იმპერატიული ამოცანის, „შავი ზღვის უსაფრთხოების“, ნაწილია.

„ორივე ქვეყანა, საქართველო და უკრაინა, არის რუსეთის რევიზიონისტული პოლიტიკის მსხვერპლი, თუმცა ორივეს აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. ნატოს უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს სტრატეგიული ბალანსის აღდგენა შავ ზღვაზე, რაც ყოვლად შეუძლებელია როგორც ანექსირებულ ყირიმის, ისე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციის გარეშე. გარდ ამისა, შავი ზღვის უსაფრთხოების ინიციატივა, იმ საზიარო დემოკრატიულ რეფორმებთან და ღირებულებებთან ერთად, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც შეგვიძლია გამოვიყენოთ ნატოს თითოეული წევრის დასარწმუნებლად გაწევრების კუთხით“, – ამბობს საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის თანადამფუძნებელი თეონა აქუბარდია.

ვინაიდან საქართველო შავი ზღვით, როგორ საზღვაო საზღვრით, ნატოს სამ წევრ სახელმწიფოს – თურქეთს, ბულგარეთსა და რუმინეთს – უკავშირდება, შავი ზღვის უსაფრთხოების კონცეფციამ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში გააჩინა მოლოდინი, რომ პერსპექტივაში იგი საქართველოსათვის გადაიქცეოდა ერთგვარ „უკანა კარად“ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესასვლელად.

ჯერჯერობით ნატოს შემდგომი გაფართოების თარიღსა და შესაძლო კანდიდატებზე ბრიუსელში არავინ ლაპარაკობს. კორონავირუსის პანდემიამ ბევრი რამ შეცვალა მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში.

მაგრამ რაც შეეხება აწმყოს, საქართველო ამჟამად ნატოს „გაფართოებული შესაძლებლობების პარტნიორის“ სტატუსს ფლობს, როგორც ავსტრალია, ფინეთი, იორდანია, შვედეთი და უკრაინა, რომელმაც ეს სტატუსი 12 ივნისს მიიღო. ალიანსთან საქართველოს ურთიერთობა მოიცავს ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს შესაძლო წევრობისთვის. კერძოდ, ესენია: ნატო-საქართველოს კომისია, ყოველწლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი.

„მოკავშირეები აღიარებენ რეფორმირების კუთხით საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს, რომელიც უნდა გაგრძელდეს, რომელიც ეხმარება საქართველოს, ასპირანტ ქვეყანას, წინსვლაში ნატოში გაწევრიანებისთვის მზადებისას და რომელიც აძლიერებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობასა და ალიანსთან თავსებადობის შესაძლებლობებს“, – ნათქვამია 2018 წლის ნატოს სამიტის დეკლარაციის ტექსტში.

კობა ლიკლიკაძე

ჯერჩისაძლეში

რამდენიმე ფეისბუქ-პოსტი რჩეული კომენტარებით სმაილიკების გარეშე

პაატა ნაცვლიშვილი

III

26 მარტი, 23:23-ზე

ITALIANO VERO – იტალიელი ვარო!

ჩვენ ყველანი, დედამიწელები, ქართველები თუ სხვები, იტალიელებიც ვართ: ზოგი — მეტად, ზოგი — ნაკლებად. იტალიისა და იტალიელების გარეშე, ჩვენი ცივილიზაცია, ჩვენი კულტურა არა მარტო სხვანაირი, არამედ დიდად ნაკლულიც იქნებოდა. უცხოელის კვალობაზე კარგად ვიცნობ ამ ქვეყანას — წაკითხვით ხომ უამრავი რამ წამიკითხავს, ფილმი ხომ მრავალი მინახავს, სიმღერები ხომ მომისმენია და მომისმენია... ამას გარდა, არაერთხელ ვარ იტალიაში ნამყოფი, თუ როგორც ტურისტი, თუ როგორც ჟურნალისტი, თუ როგორც მეზღვაური, თუ როგორც სულხან-საბა ორბელიანის კვალს ადევნებული მოგზაური.

მახსოვს, ბავშვობაში ფილმების ტიტრებიდან იტალიურ გვარ-სახელებს ცალკე ბლოკნოტში ვიწერდი ხოლმე, ზუსტად ისე, როგორც საყვარელ ლექსებს. რაღა ბავშვობაში, სტუდენტობამდე გამომყვა ეს ჩვევა. ჩემს საყვარელ გვარ-სახელებს შორის ტოტო კუტუნიო არასოდეს ყოფილა. არც სახელი მომწონდა მისი და არც გვარი. სიმღერა — კი, ბატონო! ან როგორ შეიძლება, იტალიური სიმღერა არ მოგწონდეს! მაგრამ ახლა, როცა პანდემიის სასტიკი ტალღით მოცული მთელი იტალია ტოტო კუტუნიოს იმ ცნობილ სიმღერას მღერის, „იტალიელი“ რომ ჰქვია და სულ პირველი შესრულებისთანავე მსოფლიოს ესტრადა თუ ტელევიზიები რომ დაიპყრო, მისი გვარი და სახელი სულ უფრო მესიმპათიურება.

დღეს დილას, თავადაც შინ გამოკეტილი, სახლებში გამოკეტილ იტალიელთა შესრულებულ ამ სიმღერას რომ ვისმენდი დიანა ტრაპაიძის გადაცემაში, ვგრძნობდი, როგორ მატულობდა ჩემში იტალიელობის წილი. ამდილანდელ ვიდეორგოლში ერთი ქართველიც მონაწილეობდა — ხათუნა თურქაძე. მას რგოლის მომზადებაშიც მიუღია მონაწილეობა და ფეისბუქზეც დაუდევს. თავიდან ვიფიქრე, მოდი, გავაზიარებ-მეთქი, მაგრამ მერე ქსელში სიმღერის ტექსტი მოვძებნე და — უკეთესი რა უნდა მექნა! — ავდექი და, ქართულად ვთარგმნე. იტალიური არ ვიცი, მაგრამ გუგლის რესურსი და ორი ჩემთვის ნაცნობი შუალედური ენა მოვიშველიე. ვერ ვიტყვი, როგორი თარგმანი გამომივიდა, მაგრამ შევეცადე, შემენარჩუნებინა დედნის ის სულისკვეთება, რის გამოც დათრგუნვილმა იტალიელებმა ფოლკლორულ კილოზე გაწყობილი ეს სიმღერა ოპტიმისტურ საბრძოლო ყიჟინად აქციეს. ამავე დროს, დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით, ორიგინალის შინაარსის შეუცვლელად ცოტა ორაზროვნებაც შევაპარე. ვთქვათ, ორიგინალისეული ავტომანქანის მაგნიტოფონი, რაც მაშინდელ იტალიაში ერთგვარად სტატუსური რამ სიმბოლო იყო, მიკროფონით ჩავანაცვლე, „ბონჯორნო“ — „ავე“-თი, ზოლიანი პიჟამო — სახლში დარჩენით, ტანსაცმლის მაღაზია — წმინდა შესამოსლით, ხოლო ღვთისმშობლის მელანქოლიას შეცვლა ფაქტობრივად არ დასჭირვებია. როგორც დროის ნიშანი უცვლელი დარჩა აგრეთვე გაპრეზიდენტებული პარტიჯანოც. აქ იგულისხმება ალესანდრო პერტინი, ომისშემდგომი იტალიის ყველაზე სახელოვანი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ახალგაზრდობაში ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიზანული რაზმის წევრი იყო, 1978 წელს კი იტალიის პრეზიდენტი გახდა და 1985 წელს ვადაზე ადრე გადადგა ასაკის გამო. 1982 წლის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინ, როცა მასპინძლებმა იტალიის ჰიმნი დროულად ვერ მოძებნეს თუ ვერ ჩართეს, პერტინი წამოდგა და საპატიო სტუმართა ლოჟიდან იტალიის ჰიმნი დააგუგუნა! რაკი ფეხბურთზე ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც დავძენ, რომ თუმცა ტოტო კუტუნიოს სიმღერაში ფეხბურთი ნახსენები არ არის, ტექსტისეული „მოვიოლა“ აქ იტალიის ტელევიზიის საკვირაო საფეხბურთო მიმოხილვას გულისხმობს, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ტელეკრანს მიჯაჭვავდა ხოლმე გულშემატკივარს. იმ ერთდღიან შინ დარჩენაში ახლანდელი კარანტინი თუ თვითიზოლაციაც შეიძლება გამოსჭვიოდეს. სწორედ ამგვარი პარალელებისა და ამგვარი მინიშნებების გამოც იქცა ალბათ ეს სიმღერა დღევანდელი იტალიის ანტიკორონავირუსულ სახალხო ჰიტად. სიმღერის იდეა რომ ვთარგმნოთ, „რაც-კარგები-ვართ-იტალიელები-ვართ“ გამოვა, „რაც-კარგები-ვართ-ქართველები-ვართ“-ის ანალოგიით.

მეტ-ნაკლებ შინაარსობრივ თანხვედრასთან ერთად, იმასაც შევეცადე, ზომა ზუსტად დამეცვა, რომ თუ ვინმე მოინდომებს, თარგმანმა სასიმღეროდაც ივარგოს, თუმცა, გულწრფელი რომ ვიყო, სულაც არ მომწონს, როცა სიმღერებს თარგმნიან და სხვა ენაზე მღერიან. ასე იყო თუ ისე, მოვკიდე თარგმნას ხელი და სულ პირველად სიმღერის ბოლო ფრაზა ვთარგმნე — „ნამდვილი იტალიელი“, „ნაღდი იტალიელი“ — Italiano vero, რაც ასე გადმოვაქართულე: იტალიელი ვარო! და მერე ყველაფერი დანარჩენი ამ ფრაზას მოვარგე. ქართულ თარგმანში ნახსენებ „მომრავლებულ ამერიკისტებში“ შევეცადე, ჩამეტია ტექსტისეული კრიტიკული დამოკიდებულება ყოველივე ამერიკულისადმი, რაც მაშინ უაღრესად აქტუალური ყოფილა იტალიაში და რაც ორიგინალში გამოიხატა ფრაზით — „ბლომად ამერიკა პოსტერებზე“.

სიმღერის ორიგინალური ტექსტის ავტორია კრისტიანო (პოპი) მინელონო, მუსიკა კი თავად ტოტო კუტუნიოს ეკუთვნის. ერთგან ეწერა, რომ თითქოს „იტალიელი“ თავიდან ადრიანო ჩელენტანოს უნდა ემღერა, მაგრამ მას უარი განუცხადებია. კუტუნიომ კი ამ სიმღერით მეხუთე ადგილი დაიკავა სან-რემოს ფესტივალზე, თუმცა „იტალიელი“ ბევრ ჩემპიონ სიმღერაზე უფრო პოპულარული და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ამის მიზეზად მისი ტრადიციული ფოლკლორული ფესვები მიაჩნიათ.

თავის დროზე პოლიტიკური თუ სოციალური ქვეტექსტებით დამუხტული და იტალიელობის სიამაყით აღსავსე ეს სიმღერა დღეს რამდენადმე ნოსტალგიურად ჟღერს. მგონი, ასეა თარგმანშიც. ყოველ შემთხვევაში, მე როგორც შევძელი, ისე გავაკეთე. დაე, სხვამ უკეთ გააკეთოს.

თუმცა დღეს ყველა ქვეყანას თავისი გასჭირვებია, იტალიის გასაჭირის შემხედვარენი, ჩვენ ყველანი, დედამიწელები, უფრო იტალიელები ვხდებით, ვიდრე აქამდე ვიყავით. ჩემი დღევანდელი დრო, შრომა და შემართება მთლიანად იტალიას ეძღვნება. მე დღეს იტალიელი ვარ!

არ არის გამორიცხული, ერთი დღით ესპანელიც გავხდე! ღმერთმა იტალიელთა, ესპანელთა თუ სხვა კეთილისმსურველთა ქართველობა არ დაგვაჭირვოს!

ახლა კი ტოტო კუტუნიოსა და პოპი მინელონოს სიმღერა ქართულად.

ი ტ ა ლ ი ე ლ ი

თუკი გიტარაც მღერის,
მე რომ ვიმღერო, რა რო,
თუკი გიტარაც მღერის,
იტალიელი ვარო.

ავე, იტალია! მზადაა სპაგეტი,
პარტიჯანოა ჩვენი პრეზიდენტი,
ხელში რომ მიჭირავს,
ეს მიკროფონია
და კანარის ჩიტის მესმის სიმფონია.

ავე, იტალია, შენი არტისტებით,
მაგ მომრავლებული
ამერიკისტებით,
ამღერებულ გულით,
სიყვარულის ზვრებით,
ბევრი ქალებით და ცოტა
მონაზვნებით.

ავე იტალია,
დედაო მარიამ,
ეს ყველაფერი ხომ არც შენ გიხარია!
სალამი, უფალო!
ნუ დამივიწყებ,
შენ სახელს ვუგალობ!

თუკი გიტარაც მღერის,
მე რომ ვიმღერო რა რო,
ყველას რომ შევუყვარდე,
ყველა რომ შევიყვარო.
სიამაყითაც ვხარობ,
და თავს ზემოთაც ავხტი,
იტალიელი ვარო,
იტალიელი ნაღდი!

ავე იტალია, შენ არ გეშინია,
რომ სამართებელი ეხება შინიონს,
არ გახვალ შინიდან,
ეკრანთან დარჩები,
თავს გაგახსენებენ ფეხბურთის
მატჩები.

ავე, იტალია! ყავისთვის გიჟდები,
უჯრიდან ახალი გააძრე წინდები,
ტანთ შემოიხვიე ალამი გრძნეული,
ფიატ-600-ია დღეს წმინდა სხეული.

ავე, იტალია!
დედაო მარიამ,
ეს ყველაფერი ხომ არც შენ გიხარია!
სალამი, უფალო!
არ დამივიწყო,
შენ სახელს ვუგალობ!

თუკი გიტარა მღერის,
მეც რომ ვიმღერო რა რო,
ყველას რომ შევუყვარდე,
ყველა რომ შევიყვარო.
სიამაყითაც ვხარობ,
და თავს ზემოთაც ავხტი,
იტალიელი ვარო,
იტალიელი ნაღდი!

რაკი გიტარა მღერის,
მეც რომ ვიმღერო რა რო,
სიმღერით გაგახაროთ,
სიმღერით გავიხარო.
გიტარა მისწრებს წინ და,
მეც რომ ვიმღერო, რა რო,
ყველამ გაიგოს მინდა, —
იტალიელი ვარო!

149 ლაიკი, 49 კომენტარი,
29 გაზიარება.

Nunu Geladze: ნაღდი იტალიელი ვარო.

Ramin Chelidze: ბრავო!

ირმა გუგუშვილი: ფორცა, სენიორ პაატალია!

ზაურ ნაჭყებია: ნამდვილი ოსტატი ხარ, პაატა ბატონო!

Nino Bejanishvili: Chemo Paata, dzalian kargia, rogorts koveltvis... dzalian mikvarxar da menatrebi... gexvevi da gkotsni shoridan (axlodan maints ar sheidzleba)... samtsuxarod italiis katastropis masshtabebs espanetits uaxlovdeba...

Irma Tchabashvili: ამ დილით, სოციალური ქსელით როდესაც ეს ვიდეორგოლი ვნახე, გავიფიქრე — ნეტავ ტექსტის თარგმანი წამაკითხა-მეთქი და აგერ არ ვკითხულობ?!

Roman Malania: მაგარი გულიანი კაცი ხარ ჩემო პაატა...

Giorgi Lobzhanidze: პაატა, <3 ძალიან შთამბეჭდავია! <3

Tamazi Dograshvili: სოლიდარიზმის იშვიათი პოეტური ფეიერვერკი!... ბრავო მაესტრო!!

Raul Chilachava: ყველაფერი რომ ერთადაა: სიყვარულიც, თანაგრძნობაც, თანალმობაც, გამოცდილებაც, ოსტატობაც. პოეტისა და პუბლიცისტის, მოგზაურისა და მეზღვაურის ქართული სული საოცრად მიესადაგა იტალიურ ტექსტსა და მელოსს, რის შედეგადაც მივიღეთ ქართული შლიაგერი, რომელიც აუცილებლად უნდა აჟღერდეს. და ეს ამბავი უნდა გაიგოს იტალიამაც! პაატა, ბრავო!

ზეინაბ სარია: სულმოუთქმელად ჩავიკითხე.

Rusudan Gabroshvili: აი, რას ნიშნავს პაატა ნაცვლიშვილობა!..

ინგა ჩახვაშვილი: ბრავო, მაესტრო! მისამღერი წამეღიღინა კიდეც.

Manana Kartozia: პაატა, რაულ ჩილაჩავამ ამომწურავად თქვა სათქმელი. მე ერთ ხაზს გავაძლიერებ, პუბლიცისტის განცდა მომწონს ამ ლექსში და პაატა ნაცვლიშვილში.

თამარ თათარაშვილი: ამას ჰქვია უკიდეგანო ნიჭი! მისამღერები მეც სულ ჩავაღიღინე... გაიხარე, პაატა-ვ!..

Marina Abuladze: პაატა, ბრავო! ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე გამართული ქართულით დაწერილიც და ნათარგმნიც (რაც ახლა ასეთ იშვიათობას წარმოადგენს)!

Lia Burchuladze: პაატა, ბრავო! ვიზიარებ თქვენს პათოსს! დიდი მადლობა ყველაფრისათვის! მაგარი ბიჭი ხართ (დიახ, ბიჭი!)!

ნანა ნიკოლაძე: საოცრად გვასიამოვნეთ! მართლაც არაჩვეულებრივი ნათარგმნი და უთბილესი დამოკიდებულებაა. იხარეთ, ბატონო პაატა!

მაია მიქაბერიძე: ბრავო, პაატა! მშვენიერია. ჩემთვის ავღიღინდი კიდეც.

Robi Qveladze: ბრავო, პაატა, ბრავო!!!

Marina Aleksidze: ბრავო, ბ- ნო პაატა! ბრავო!!!

Bela Enukidze: პაატა, წავიკითხე, კიდევ წავიკითხე, ვატყობ კიდევ წავიკითხავ. იტალია არც გულიდან ამომდის და არც გონებიდან. ლია ბურჭულაძემ დაწერა, მაგარი ბიჭი ხარო! მართლა მაგარი (დიახ, ბიჭი!) ხარ, უნიჭიერესი, უმაგრესი. ბრავო!

Vasil Beselia: ესეც პაატაურია!

Nunuka Grdzelishvili: პაატა! ეს შენ შეგეძლო გეთარგმნა და თარგმნე. ეს იმ სიყვარულის „ბრალია“, ქართველმა რომ იცის. ეს იმის „ბრალია“, რომ პაატა ხარ, ნაცვლიშვილი. კარგი, კარგი და ძალიან კარგი!

Zeinab Dzidzishvili: არაჩვეულებრივი ნათარგმნია!

Maia Gvritishvili: პაატა გაიხარე, რომ ამ უბერებელ სიმღერას შენი ხელიც შეავლე და, მგონი, დედანს თუ არ სჯობია, არც ჩამოუვარდება თავისი „აქცენტებით“. თუმცა, ახლა, ამ ვითარებაში, ამ საყოველთაო გაჭირვების დროს, მთავარი ხომ ისაა, რომ ასე გვახსოვს ეს არაჩვეულებრივი ქვეყანა თავისი ნიჭიერი ხალხით, რომლებსაც ახლა ჩვენზე მეტად უჭირთ. ჩვენი საკუთარის შემდეგ, ყველაზე მეტად მეც მათზე შემტკივა გული, რადგან ასეთ განსაცდელს ნამდვილად არ იმსახურებდა ეს ხალხი. იმედია, ჩვენც და ისინიც მალე მოვიშორებთ ამ „სახადს“ და კიდევ გვექნება ბედნიერება ერთმანეთის უმშვენიერეს ქვეყნებს ტურისტებად ვეწვიოთ და მეათასედ ვისმინოთ ეს სიმღერაც.

Gia Nachkebia: მინელონოს ლექსი ნამდვილად არ წამიკითხია, მაგრამ ამეკვიატა აზრი, შეიძლება მცდარი, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც თარგმანი ორიგინალს ჯობია.

Lia Kharebava: ჩემი თაობის საყვარელი სიმღერები...

Tsira Shalashvili: მშვენიერია!

Paata Surguladzer: იტალია აუცილებლად გაიმარჯვებს!

Mari Marieta: გაიხარეთ! იტალია მოიგებს ამ ომს. FORZA ITALIA!

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №90

კაცსა კაი რაცა სურდეს!..

ღრმად პატივცემულო ვაზისა და პოეზიის ქვეყნის ხელმძღვანელებო და ქველმოქმედებო!

ვაზს მივუძღვენი არაერთი ლექსი იმგვარად, რომ ვაზიც კი ვალაპარაკე:

ვაზი გამძლე ვარ გვალვისა, ეს ჩემი ფესვის არსია,
როგორც ვენახი კაცისთვის ცხოვრების შინაარსია,
ამაყად დავძენ – ნაღდია, აქ არაფერი ფარსია,
ვაზის და ღვინის ქვეყანა კვლავ აყვავების ღირსია.
შემწამლე პაპავ დროულად, ჭრაქმა არ მახლოს ხელიო,
გულით თუ გვინდა დაგვიდგეს მარაქიანი რთველიო,
ახალი წელი გახდება განვითარების წელიო,
რადგან მეკვლეა სიკეთე, აღორძინებას ველიო...

850 წლის რუსთაველს კი მივუძღვენი 850-სტრიქონიანი პოემა მისთვის საკადრისი რითმითა და მარცვლით, სადაც არა მარტო ვეშაირები, არამედ თვითონაც გვეშაირება 850 წლის უკვდავი მგოსანი.

ახლახან წიგნი გამოვეცი სათაურით „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“. იმასთან დაკავშირებით, რომ 2021 წლისთვის თბილისი გამოცხადებულია მსოფლიო წიგნის დედალაქად და ნაშრომმა გამოიწვია დიდი ინტერესი, წიგნს ვათარგმნინებ ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე იმ მიზნით, რომ სტუმრებს საჩუქრად გადავცე დასახელებული წიგნები. უმორჩილესად გთხოვთ, გამიწიოთ დახმარება მის გამოცემაში. საილუსტრაციოდ გთავაზობთ ნაწყვეტს პოემიდან.

წარსადგენია გარეწრად, ქველსა ვინც ძირი უთხაროს, სჯობს აღარასდროს არავინ კეთილი აღარ მოთხაროს!

ნებით, შენდობით, დანდობით, დიდი ილიას გონებით,
აშლილ სოფლების შენებით, სიახლეების მიგნებით
სამშობლოს სვიანს ვიხილავთ, მით უფრო გამოგონებით,
ჩვენს ხელით, მაგრამ უთუოდ მთავრობის მოწადინებით.

ვაზი მიზნად დავისახე, გულს ნატიფად შევინახე,
სიზმრად ვენახს მიმავალმა შოთა ცხენით დავინახე,
უმალ მიველ, ვინახულე რითმის მწვნელი მევენახე,
ამდაგვარი სიხარული მე მას მერე ვეღარ ვნახე.

ბავშვობის წლები გავლიე უმძიმეს სიღარიბეში,
არვისგან მქონდა ნუგეში, არა რა მედო უბეში,
მეჩქარებოდა სულ მუდამ ჭინჭრის ამოსვლა ღობეში,
ხნოვანებაში შესული აღარა ვდგევარ გუბეში.

მოყვარესთან ლამისყანას ნადიმს ვიყავ მიწვეული,
რაზმაძესთან წლის ნაღვაწი უხვად იყო გაწეული,
არემარე გადაშლილი, ვით ნაბროწი ბროწეული,
მარჯვენა და სადღეგრძელო, გამარჯვებით აწეული.

ნატანჯი ჩვენი ქვეყანა რომ საამაყოდ შევცვალოთ,
უცხო აზრები, ზრახვები ერთგულებაში გავცვალოთ,
დავიბადენით ქვეყნისთვის, ბრძენთა ანდერძი ვივალოთ,
სიბრძნე ყოფილა, შევიცნოთ, ხვაშიადს გეზი ვუცვალოთ.

ლექსად ვაუღერებ წყურვილსა წუთისოფელში ყოფისთვის,
ანთებული ვარ მარცვლისთვის, რუსთაველური რითმისთვის,
ატეხილი ვარ ახლისთვის,ხვალის ვენახის ახსნისთვის,
დავიმსახურო სახელი სახელოვანი სიტყვისთვის.

მე ხელობით მევენახე, ზამთრის ღამეს კალმოსანი,
გუდეშურით დათრობისას რითმებისა მშვილდოსანი,
მარცვლებს ვარჩევ სულ ბროლისას, მერჩის ვიყო მეც მგოსანი,
მეწარმე და ქველმოქმედი, წუთისოფლის წიგნოსანი.

დავბადებულვარ წერისთვის, საწუთისოფლო წიგნისთვის,
ღმერთს ვაზიც უბოძებია სოფლად მოსახდელ ვალისთვის,
საამურია ჯაფისთვის, სარფიან ჯამაგირისთვის,
ყურძნის დაწურვა მარანში ბადაგ ანკარა ღვინისთვის.

ღმერთმა ქნას, ვაზმა ქართულმა სხვა პლანეტაზეც იხაროს,
შთამომავლობამ გაფურჩქნოს, რქები სიუხვემ მოხაროს,
ტკბილმა მტევნებმა უშრეტმა გადამეტებით გვახაროს,
წარდგენილია გარეწრად, ქველსა ვინც ძირი უთხაროს,
დასამტკიცებლად ხმებს ვითხოვ, აწმყომ მომავალს ახაროს,
რომ აღარასდროს არავინ კეთილი აღარ მოთხაროს!

მეაზრება კვლავაც მეტი, ერსა ჭირი მოჰკლებოდეს,
მტრობა, შური და ქიშპობა ზღვის ქაფივით გაჰქრებოდეს,
და სანაცვლოდ ერთგულება, სიყვარული მყარდებოდეს,
საქართველო გულსახარად ქართველებით მრავლდებოდეს.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ხან მიწა მოვაგორაკე,
ხანაც ვენახი გავხადე ქვეყნისთვის სალაპარაკე,
აწი კი მინდა ვაქციო მგოსნების საგარაკე,
რომ სიამაყით ამოვთქვა, შოთაც კი ვალაპარაკე.

– შოთა ვაგრძელებ შაირსა, შაირებისთვის შობილი,
რვაას ერგას წლის მხცოვანი, მხცოვანებითაც ცნობილი,
დედამიწაზე უკვდავად უჭკნობად წარმოშობილი,
სიცოცხლის დასამტკიცებლად, აჰა, სტროფები წყობილი.

მახსოვს, ოდეს თამარ მეფემ ოქროს ხანა დაისახა,
ხინჯით არა გამოსახა, მხოლოდ გეზი დაგვისახა,
სიბრძნე მისი გვედიადა, მედიდურად აისახა,
აჯა, მაჯა, ჯაფა, გარჯა საარაკოდ ჩაგვისახა.

გამახსენდა სიჭაბუკე, ჩემს ხელით რომ ვაზი ვყარე,
მტერსა ვძლიე, დავასუსტე, ზოგიც კიდე უკუვყარე,
გული ამით დავიმშვიდე, უკვდავებას შევეყარე
და სამშობლოს აყვავებას საძირკველი ჩავუყარე.

მოწმე ვარ ჭირ-ვარამისა, სიბრძნის და რაინდობისა,
მწვერვალებისა ხილვისა და საამაყო ძმობისა,
ავის და კარგის გარჩევის, ხანაც ჭირისა თმობისა,
საქართველოსი შენების, ოქროს ხანისა წყობისა.

მე ბასიანშიც ვიდექი, როცა იბრძოდა თამარი,
სახელოვანი სარდლობა, სამშობლოს ოქროს ქამარი,
ლეგენდარულად დაბრუნდა გამარჯვებული ლაშქარი,
მტერი მოისრა, დაგვირჩა ამშავი ვითა ზღაპარი.

ყურსა მსმენია დავითიც, თამარის პაპა მხცოვანი,
გვირგვინოსანი სარდალი, სულითაც დიდსულოვანი,
ერგას სამი წლის ასაკის, აწ უკვე ათასწლოვანი,
ცოცხლად ორგულის ხსენებას სჯობს მკვდარი სახელოვანი.

გულდაწყვეტილმა ვიხილე შემცირებული თაობა,
უფრორე მეტად დავღონდი, რომ ვერ ვიხილე ერთობა,
და სიყვარულის მაგიერ თვალს მოხვდა კაცთა მხეცობა.
განა ამისთვის იღვწოდა ქართველთა ერისკაცობა??!

ვძებნე და ვპოვე საშველი ჩენად ჩვენისა გენისა,
კანონი არის მთავარი მომავლის გამოჩენისა,
რომ აღარ გავხდეთ მოწმენი სასტიკი განაჩენისა,
გზებია გასაკაფავი სამშობლოს გადარჩენისა.

მით რომე გზაა საჭირო, მტერნი საომრად მზანია*,
მესმის, პრობლემა მძიმეა, გრძელი და ასწლოვანია,
მაგრამ ქართველი ბრძენია, ბუნებით ხელოვანია,
მიუღწევლობა მიზნისა ქართველთვის დასანანია.

თამაზ, გაგიცან შაირით, თუმც გცნობდი გამოგონებით,
მარცვლები ტკბილად მეამა, რომ გავეცანი ჟამთ ნებით,
მიდი, მიადექ, გალექსე რითმები აღფრთოვანებით,
გულზვიადიან აზრებით, გულისგულიან მიზნებით.

*** მით რომე გზაა საჭირო, მტერნი საომრად მზანია – რუსთაველის ეს სიტყვები არ ზის ბრჭყალებში შეგნებულად, ლექსის არსიდან გამომდინარე.**

თამაზ ქვლივიძე,
599-10-43-18

რედაქციისაგან:

მკითხველი დაგვიდასტურებს, რომ თამაზ ქვლივიძეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთი მნიშვნელოვანი თაოსნობა წამოუწყია შთამბეჭდავი სათაურებით, მაგრამ რედაქციას ყოველთვის თავი შეუკავებია მის შეფასებებზე, მიკერძოებაში რომ არ ჩაგვთვლოდა. თუმცა, ერის საამაყო შვილებს თამაზ ქვლივიძის იდეებზე და გამოგონებებზე ხოტბის შესხმა არ დაუყოვნებიათ.

თამაზ ქვლივიძე მართლაც არაერთი ღირებული გამოგონების ავტორია, გამოცემული აქვს ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე – „მევენახეობა ახლებურად“. დაჯილდოებულია ღირსებისა და არაერთი ოქროს მედლით. იგი ნამდვილად იმსახურებს მხარდაჭერას.

ვიარეთ სიყვარულის გზით!

„არიერგარდის“ გამოძახილი

ქვეყანაში მომძლავრებულ აგრესიასთან დაკავშირებით პოზიციას გამოხატავს აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი – „არიერგარდი“.



აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი – „არიერგარდი“ უერთდება საერთო მწუხარებას 19 წლის ფეხბურთელის გიორგი შაქარაშვილის ტრაგიკული დაღუპვის გამო. ვუსამძიმრებთ და თანადგომას ვუცხადებთ ოჯახს და ახლობლებს ყველასთან ერთად, ვინც საერთო ტრაგედიად აღიქვა სისასტიკით ჩადენილი ეს დანაშაული. ამასთან, ვგმობთ ყოველგვარ უკეთურ და ფსევდოგამოხდომებს ამ უბედურებასთან დაკავშირებით.

ვაღიარებთ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ხელაღებით ყველაფრის უარყოფამ და თვითდინებაზე მიშვებულმა თავისუფლებამ გააუფასურა ადამიანთა შორის ურთიერთობები, განელდა ტრადიციების პატივისცემა, განსაკუთრებით უმართავი გახდა ახალგაზრდობის ქცევა. ნებსითი თუ უნებლიე წაყრუება-განუსჯელობით ნაბიჯ-ნაბიჯ მოვედით თანამოძმეთა დაუნდობელ სისასტიკემდე, თითქმის სისხლიან ყოველდღიურობამდე. დიახ, ყოველდღიურობამდე და თუ ამ საზარელ რეალობას ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ერთობლივი ძალისხმევით არ დაუდო ზღვარი, ქვეყანა აღმოჩნდება კატასტროფის წინაშე. სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი უკვე აშკარად ასოცირდება 90-იანი წლების მოვლენებთან. გვესმის, რომ თავისუფლება და ადამიანის უფლებები ფუნდამენტური ღირებულებებია, მაგრამ ნუ გვავიწყდება, რომ ასევე ფუნდამენტურია მისი უმკაცრესი დაცვა, რაც არ უნდა გაიგივდეს ვინმეს უფლებების ხელყოფასთან.

უნდა გავიაზროთ, რომ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობა არის ახალგაზრდობასთან დამოკიდებულებაში საზოგადოების საერთო უპასუხისმგებლობის ტრაგიკული შედეგი. არ არსებობს სხვისი შვილი. თითოეული მათგანი, გარდა მშობლებისა, არის ხალხის და ქვეყნის შვილი. შესაბამისად, ერის და ბერის საერთო საქმეა მათი აღზრდა, მათზე ზრუნვა და სიცოცხლის დაცვა.

უფროსი თაობა ყოველთვის იყო ყმაწვილთა გზის მაჩვენებელი, პირადი მაგალითით მონაწილებდა მათ აღზრდაში. სწორედ, რომ წინმავალთა ზნეობისა და სიბრძნის საკადრისად უნდა აღიზარდოს დღესაც ახალგაზრდობა ღვთისმშობლის წილხვედრ და წმინდანებით გაცისკროვნებულ ქვეყანაში.

ჩვენ, ცხოვრების გრძელ გზაზე მრავალ განსაცდელგამოვლილ ვეტერანებს, გადაუდებლად მიგვაჩნია რეალობის შესაბამისად უბნის ინპექტორების და სხვა აღმზრდელებით-პრევენციული ინსტიტუტების საქმიანობის გათანამედროვეობა-გაძლიერება.

გადავწყვიტეთ, ცხოვრებით და გამოცდილებით დაბრძენებულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ჩართულობით, ჩვენი წესდების შესაბამისად, შევიმუშაოთ თაობათა ურთიერთობისა და ჯანსაღი მემკვიდრეობითობის პროგრამა სლოგანით: „სიყვარული გზად და ხიდად“, რომელსაც განვსჯით საზოგადოებასთან ერთად და დავსახავთ მისი რეალიზების პრაქტიკულ გზებს და საშუალებებს. ვივლით სიყვარულის გზით.

დროა, აქტიურად ვიმოქმედოთ განუკითხაობისა და საზოგადოების დამაზიანებელი ყოველგვარი მანკიერების წინააღმდეგ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ურთიერთსიყვარულით თანაცხოვრების საუკუნეებგამოვლილ ეროვნულ ტრადიციებთან.

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი – „არიერგარდი“.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲭᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამაზი სამხარაულის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამაზი სამხარაული (პ/ნ 35001057458), გარდაბანი, სოფელი სართიჭალა
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. რუსთავი, მესხიშვილის მეორე გასასვლელი №6, ბინა 19 (საკადასტრო კოდი: 02.03.02.009.01.019).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 27350.51 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 23 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 3 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66820320;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 668203
6. **მოვალე:** თამაზი სამხარაული (პ/ნ 35001057458), გარდაბანი, სოფელი სართიჭალა;
მარინე ტაბატაძე (პ/ნ 35001082816), გარდაბანი, სოფელი სართიჭალა.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66820320; ლოტის ნომერი: 668203).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 3 აგვისტოს 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲭᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თეიმურაზ კუხალეიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თეიმურაზ კუხალეიშვილი (პ/ნ 62007001948), ქ. თბილისი, თემქა, 4 კვ, კორპუსი 6, ბინა 3
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, 4 კვ, კორპუსი 5, ბინა 3 (საკადასტრო კოდი: 01.12.03.006.002.01.003).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 20796.98 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 23 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 3 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66830320;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 668303
6. **მოვალე:** თეიმურაზ კუხალეიშვილი (პ/ნ 62007001948), თბილისი, თემქა, 4 კვ, კორპუსი 6, ბინა 3;
ნინო ხუციშვილი (პ/ნ 01033005304), თბილისი, თემქა, 4 კვ, კორპუსი 6, ბინა 3.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66830320; ლოტის ნომერი: 668303).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 3 აგვისტოს 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲭᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ესმა ქირიკაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ესმა ქირიკაშვილი (პ/ნ 01024065123), თბილისი, საბურთალოს ქ. №31/10.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ოზურგეთი, ი. პეტრიწის ქ. №1, სართული 5, ბინა №19 (საკადასტრო კოდი: 26.26.47.056.01.019).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 7323.14 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 23 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 3 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66831320;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 668313
6. **მოვალე:** იმედი გორგილაძე (პ/ნ 61004026015), ქობულეთი, სოფ. სახალვაშო;
ესმა ქირიკაშვილი (პ/ნ 01024065123), თბილისი, საბურთალოს ქ. №31/10.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66831320; ლოტის ნომერი: 668313).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 3 აგვისტოს 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲭᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს კუკური სიხარულიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კუკური სიხარულიძე (პ/ნ 33001009639), თბილისი, ვარკეთილი 3 დასახლება, 4 მ/რ, კორპ. 406, ბინა 29
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ოზურგეთი, ბესიკის ქ. №1ა (საკადასტრო კოდი: 26.26.58.159).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 46062.82 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 23 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 3 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 668328
6. **მოვალე:** ზვიად სიხარულიძე (პ/ნ 33001010739), თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზ. №50
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66832820; ლოტის ნომერი: 668328).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 3 აგვისტოს 10:00 საათამდე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

შპს ,,ენგურჰესი" (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო) ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით, შპს ენგურჰესის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს 2020 წლის 23 ივნისის ერთობლივი სხდომის ოქმი №6/4 და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 6 ივლისის №23/4183 თანხმობის წერილის საფუძველზე აცხადებს აუქციონს შემდეგ მექანიზმებზე:

ადგილმდებარეობა,

თაღოვანი კაშხლის დეპარტამენტი (წალენჯიხა, ფოცხოეწერი)

1. სახარატო დაზგა – საწყ. ფასი 1800 ლ, „ბე" 200 ლ, ბიჯი 50 ლ, ბილეთის ფასი 20 ლ.
2. სახარატო დაზგა – საწყ.ფასი 1800 ლ. „ბე" 200 ლ. ბიჯი 50 ლ. ბილეთის ფასი 20 ლ.
3. სახრახნი დაზგა – საწყ. ფასი 120 ლ. „ბე" 20 ლ. ბიჯი 5 ლ. ბილეთის ფასი 0,5 ლ.
4. ლითონის საჭრელი დაზგა – საწყ ფასი 170 ლ. „ბე" 20 ლ. ბიჯი 5 ლ. ბილეთის ფასი 0,5 ლ.
5. სალესი დაზგა – საწყ. ფასი 170 ლ. „ბე" 20 ლ. ბიჯი 5 ლ. ბილეთის ფასი 0,5 ლ.
6. ჰორიზ. საფრეზი დაზგა საწყ. ფასი 1050 ლ. „ბე" 150 ლ. ბიჯი 40 ლ. ბილეთის ფასი 10 ლ.
7. მყვინთავების ბოტი – საწყ.ფასი 2500 ლ. „ბე" 250 ლ. ბიჯი 50 ლ. ბილეთის ფასი 20 ლ.
8. სახანძრო მანქანა ზილ-131 – საწყ.ფასი 2000 ლ. „ბე" 200 ლ. ბიჯი 50 ლ. ბილ.ფასი 20 ლ.
9. ამწე კოშკურა ზილ-131 – საწყ ფასი 3700 ლ. „ბე" 300 ლ. ბიჯი 50 ლ. ბილეთის ფასი 20 ლ.
10. გამზომი მოწყობილობები – საწყ.ფასი 120 ლ. „ბე" 20 ლ. ბიჯი 5 ლ. ბილეთის ფასი 0,5 ლ.

ადგილმდებარეობა

ჰიდროსადგური, გალის რაიონი დას. საბერიო

11. რკინის საბურღი დანადგარი – საწყ ფასი 370 ლ. „ბე" 35 ლ. ბიჯი 10 ლ. ბილეთის ფასი 1 ლ.
12. სახარატო დანადგარი – საწყ. ფასი 660 ლ. „ბე" 60 ლ. ბიჯი 20 ლ. ბილეთის ფასი 5 ლ.
13. სახარატო დაზგა – საწყ. ფასი 200 ლ. „ბე" 20 ლ. ბიჯი 5 ლ. ბილეთის ფასი 1 ლ.
14. კაზ 4601 ცისტერნა – საწყ. ფასი 625 ლ. „ბე" 60 ლ. ბიჯი 20 ლ. ბილეთის ფასი 5 ლ.
15. მერსედესი ავტობუსი – საწყ. ფასი 2070 ლ. „ბე" 200 ლ. ბიჯი 50 ლ. ბილეთის ფასი 20 ლ.
16. ავტობუსი კავზ 3270 – საწყ. ფასი 850 ლ. „ბე" 100 ლ. ბიჯი 30 ლ. ბილეთის ფასი 10 ლ.
17. ა/მ გაზ 950 ფურგონი – საწყ. ფასი 910 ლ. „ბე" 100 ლ. ბიჯი 30 ლ. ბილეთის ფასი 10 ლ.

სარეალიზაციო ქონების მითითებულ საწყის ფასში შედის დამატ. ღირ-ის გადასახადი (დღგ).

აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას, აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს „ენგურჰესის" საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და ,,ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდეგაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

საგარანტიო თანხის, ,,ბე"-ს, და აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის საბანკო რეკვიზიტებია: შპს ,,ენგურჰესი", ს/კ 251716371, VTB ბანკის კოდი UGEBGE22, ანგარიშგების ანგარიში GE97VT6600000003403403.

განაცხადების მიღების ადგილია ქ. ზუგდიდი რუსთაველის №90, მეორე სართული, შ.პ.ს. „ენგურჰესის" ოფისი. განაცხადების მიღების ვადაა **2020 წლის 24 ივლისის 10 სთ-დან 2020 წლის 4 აგვისტოს 13 - სთ-მდე,** ყოველდღე, სამუშაო საათებში.

აუქციონი ჩატარდება **2020 წლის 4 აგვისტოს** 14 საათზე, მითითებულ მისამართზე.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან ,,სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გააფორმოს შპს ,,ენგურჰესთან" შესაბამისი ხელშეკრულება და აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან, 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და ,,ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება. აუქციონში მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული განაცხადის ფორმა შეგიძლიათ მიიღოთ ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს ,,ენგურჰესის" ოფისი);

– ,,ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

– აუქციონში მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

იურიდიული პირისათვის- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

– სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვების გამოვლენის კრიტერიუმია საწყისს გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

სარეალიზაციო ქონების შესახებ ფოტომასალა და სხვა დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მეორე სართული შპს ,,ენგურჰესის" ოფისი, ტელ. 595 227050

ᲨᲞᲡ ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲠᲣᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲙᲝᲕᲘᲓ-ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ მზადაა რუსი ტურისტების მისაღებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარადგენენ ცნობას, რომ კორონავირუსით დაავადებულები არ არიან – იუწყება სააგენტო „Интерфакс".

ეს მოთხოვნა ჩადებულია არაღიარებული რესპუბლიკის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის რეკომენდაციათა ჩამონათვალში.

ცნობა, რომლის წარდგენაც ტურისტებს მოუწევთ, აფხაზეთში ჩასვლამდე მინიმუმ 3 დღით ადრე უნდა იყოს გაცემული. ამ სეზონზე ცნობას ყველა ტურისტულ ობიექტში მოითხოვენ – სასტუმროებში, ჰოსტელებში, პანსიონატებში, კერძო სახლებში თუ ბინებში.

ასევე პანდემიის დროს აკრძალულია უცხო ადამიანების ერთად ჩასახლება – ერთ ნომერში მხოლოდ ოჯახის წევრების ყოფნაა შესაძლებელი.

მანამდე ოფიციალურმა სოხუმმა განაცხადა, რომ აფხაზეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იქნება, რომელიც რუს ტურისტებს მიიღებს.

თუმცა, ეს ასე არ მოხდა, რამაც აფხაზეთში ცხარე დებატები გამოიწვია. ერთიანი მიდგომა ამ საკითხისადმი არ არსებობს – აფხაზების ნაწილი თვლის, რომ საზღვრები რუსეთთან აუცილებლად უნდა გაიხსნას, წინაამღდეგ შემთხვევაში რესპუბლიკას ეკონომიკური კრახი ელის.

მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთისთვის კარის გახსნა ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობს აუცილებლად გაართულებს, ხოლო ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორც აფხაზებია, ეპიდემია შესაძლოა ფატალური კატასტროფა გახდეს.

შექმილი სიტუაციის გამო, აფხაზეთის და რუსეთის საზღვარზე გადაადგილება ყველასთვის მთლიანად დაკეტილია – სატვირთო გადაზიდვების, დიპლომატების და აფხაზეთში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების ჯარისკაცების და მომსახურე პერსონალის გარდა.

ივლისში ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ რუსეთის პრემიერ-მინისტრს მიხაილ მიშუსტინს წერილით მიმართა, სადაც გამოთქმული იყო უსაფრთხოების გარკვეული ზომებიც დაცვის შემთხვევაში საზღვრის გახსნის მზადყოფნა.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ საკითხზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. თუმცა, საქმე არც თუ ისე მარტივადაა, რადგანაც რუსეთი თავის მხრივ საზღვრების გახსნას არ ჩქარობს.

როსპოტრებნადზოი საზღვრების გახსნის სანაცვლოდ აფხაზეთისგან გარკვეული პირობების შესრულებას თავად ითხოვს – კერძოდ, აფხაზეთის სანეპიდსამსახურს 100 000 მოსახლეზე კორონავირუსზე დღე-ღამეში 140 ადამიანის შემოწმების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

ამ დროისთვის ოკუპირებული აფხაზეთის მთავარი სანიტარიული ექიმის ლუდმილა სკორიკის თქმით, რესპუბლიკა 50-70 კვლევასაც ვერ ატარებს.

მისი თქმით, რუსეთის მოთხოვნის შესასრულებლად საჭიროა 3 ლაბორატორია სადღეღამისო მორიგეობით. თანაც იქ მუშაობისთვის ყველანაირი პირობები უნდა იყოს მზად. მათ ასევე სჭირდებათ ძვირადღირებული აპარატურა და მასალები.

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲐᲑᲚᲝᲗᲘᲐ

ᲐᲚᲘᲔᲕᲘ ᲤᲐᲨᲘᲜᲘᲐᲜᲡ ᲓᲣᲔᲚᲨᲘ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა სომხეთს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, სომხეთი დაცვის თხოვნით კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაიქცა და აზერბაიჯანის ქმედებების დაგმობა მოითხოვა.

„კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია ექვსი ქვეყნისგან შედგება. აქედან სამმა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით მხარი აზერბაიჯანს დაუჭირა. სხვაგვარად არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ჩვენ მათთან ვმეგობრობთ, მათ შეუძლიათ გვენდონ როგორც კარგ, ასევე რთულ დღეებში. დაე, სომხეთის მშიშარა მთავრობამ გაიხსენოს, თუ როგორი შეურაცხყოფა მიაყენა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას, როდესაც სხვა ქვეყნებთან შეთანხმების გარეშე ორგანიზაციის გენერალური მდივანი დააპატიმრა. შეგვებრძოლოთ ერთი-ერთზე და ვნახავთ ვისი აჯობებს", – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

შეტაკებები სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე 12 ივლისს დაიწყო, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. აზერბაიჯანმა საბრძოლო მოქმედებებისას 12 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა. სომხური მხარე კი 4 გარდაცვლილის და 36 დაშავებულის შესახებ იტყობინება. ოფიციალური ბაქოს მტკიცებით, სომხურმა მხარემ ცოცხალი ძალის გაცილებით დიდი დანაკარგი განიცადა, რასაც მალავს.

პრემიერა მთაში

„ამ პიესით შევდგი ფეხი ონის სცენაზე და ამ პიესის დადგმით ვაპირებდი სცენიდან წასვლას. ეს სურვილი არავისთვის გამინდვია და გულში ვატარებდი. ნახევარი საუკუნე ვემსახურე სცენას და უკვე საკმარისად ჩავთვალე“ — წერდა ქართული თეატრის დიდი რეფორმატორი გიგა ჯაფარიძე ავტობიოგრაფიულ კრებულში „სადაც საჭირო ვიყავი“ დავით ერისთავის უკვდავი „სამშობლოს“ მეოთხედ(!) დადგმის შემდეგ. მას მერე 30 წელიწადი გავიდა, მაგრამ რაჭაში დღემდე არ გახუნებულა აღნიშნული შედევრის გაცოცხლებით მოგვრილი სიამაყე.

ეს სათქმელადაა ადვილი — ონის სახალხო თეატრმა მორიგი პრემიერა შემოგვთავაზაო, თორემ თუ გასული საუკუნის საბედისწერო 90-იანი წლების დასაწყისს გავიხსენებთ, იოლი წარმოსადგენია, როგორი ტიტანური ძალისხმევა უნდა ჩაექსოვა უშუქობით, ყინვითა და ათასგვარი სხვა წვრილმან-მსხვილმანი დაბრკოლებით გატანჯულ ხელოვანს თავისივე შემოქმედებით სარეკორდომდე აწეული თამასის შესაბამისი კიდევ ერთი საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლის შესაქმნელად. აღარაფერს ვამბობ გაუტანლობასა და შურზე, მაესტროს მარადიულ თანამგზავრებად რომ იქცნენ მოღვაწეობის სტარტიდანვე და სიცოცხლეს უმწარებდნენ ოსტატს.

„თითქმის ყველა ჩემი სპექტაკლი მხატვრულად და მუსიკალურად ჩემივე გაფორმებულია. შესრულებული მაქვს რამდენიმე ფერწერული ტილოც, მათ შორის გარკვეული ნაწილი — აკვარელითაც, აგრეთვე დადგმების დეკორაციები, დეკორაციების მაკეტები და ტიპაჟის ესკიზები“ — ამ სტრიქონებსაც ზემოთ დასახელებული წიგნის ფურცლებზე ვკითხულობთ, თუმცა, ვფიქრობ, ასევე ძვირფასი და მრავლისმთქმელია გენიალური მიხეილ თუმანიშვილისეული შეფასებაც: **„ონი ბედნიერი ქალაქია იმიტომ, რომ იქ ცხოვრობენ თეატრის ნამდვილი ენთუზიასტები, ხელოვნების ფანატიკოსები, არაჩვეულებრივი ადამიანები. როდესაც ქალაქში არსებობს ასეთი თეატრი, ის არის ინტელიგენტთა ქალაქი. ონის თეატრის ბევრი წარმოდგენა ქართული თეატრის ისტორიის საგანძურში შევიდა, რასაც მთელი გულწრფელობით ვულოცავ მის შეუცვლელ ხელმძღვანელს“.**

დამეთანხმებით, უფლის საჩუქარი და უდიდესი პატივია, ასეთ უნივერსალურ მარადიულ თანამედროვესთან თანამშრომლობა რომ მხვდა წილად.

მართალია, ჩემი სასცენო საბრძოლო ნათლობა გუბარევის „სარკოფაგში“ შედგა, რომელიც ჩერნობილის ტრაგედიას ეძღვნებოდა, მაგრამ „სამშობლოში“ შაჰის სარდლის როლის შესასრულებლად ბატონი გიგას მიერ გამოცხადებული ნდობა მაინც სხვა დატვირთვას ატარებდა, რადგან პარტნიორობა თვით სცენის დიდოსტატთან მომიწია.

დიახ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოლომონ ლიონიძის პერსონაჟის განსახიერებისას გიგა ჯაფარიძეს ერის წყლული აჩნდა წყლულად და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სცენაზე სამშობლოს სადიდებელს ძერწავდა.

სხვათა შორის, ისიც სიმბოლურად გვეჩვენა, გენერალური რეპეტიციის დროს, რომელსაც ქალბატონი ცისანა ქოჩეჩაშვილიც ესწრებოდა, ხმალაობის მასიური მიზანსცენა სისხლის დაღვრით რომ დასრულდა — აღნიშნულ ეპიზოდს საშა გოშაძის ხელის ტრავმა მოჰყვა, ხოლო კვალმა ჩემ იარაღამდე მიგვიყვანა. — „ასეა, სამშობლო სისხლს მოითხოვსო“ — დაგვამშვიდა რეჟისორმა.

ეჰ, სათქმელ-გასახსენებელს რა გამოლევს, მაგრამ, მგონია, წერტილის დასმა უპრიანია თვით ქართული თეატრის ბერმუხის ციტირებით.

„სამშობლოში“ დაკავებული მყავდნენ ძველი, გამოცდილი მსახიობები, რომლებიც ჯერ კიდევ ჩემამდე ემსახურებოდნენ ონის თეატრის სცენას — აველი ციხისელი (გოგია დიაკვანი) და ნესტორ დუშუაშვილი (მსაჯული ისმაილი). ისინი ძველებურად კარგ ფორმაში იყვნენ. ჩემმა ყოფილმა მოწაფეებმა, შემდეგში ჩემმა მეგობრებმა, სცენაზე ჩემი ჭირისა და ლხინის გამზიარებლებმა — იაკობ შიმშილაშვილმა (შაჰი) და ჯემალ სამხარაძემ (ისკანდერი) კვლავინდებურად დამიმშვენეს დადგმა. ქეთევანის როლი შესანიშნავად განასახიერა სერგო ზაქარიაძის სახელობის სასწავლებლის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ლელა დვალაძემ, ხოლო ირმა მაგამედოვამ თავისი მომხიბლავი ფაიხოშით გამახარა. შაჰის ბრძოლებში გამობრძმედილი გვარდიის სარდალი ისრაფილი კარგად მოერგო გია პლატონიშვილის ფიზიკურ მონაცემებს. ნაგვიანევად ავიყვანე როლზე ჩემი წამყვანი მსახიობის ჟორა მაისურაძის ვაჟი მერაბ მაისურაძე, მაგრამ მისმა მშვენიერმა სამსახიობო მონაცემებმა ეს როლი გააცოცხლა და მომხიბვლელი გახადა. სცენაზე პირველად იდგა თამაზ ალიხანაშვილი. მიუხედავად ამისა, მან დაუდ ბეგის საინტერესო და შთამბეჭდავი სახე შექმნა. მაპატიონ მონაწილეებმა, რომლებმაც საგალობლების თავიანთი ლამაზი შესრულებით სპექტაკლი დამიმშვენეს, თუ ყველა ვერ ჩამოვთვალე, რადგან, შესაძლოა, ვინმე გამომრჩეს და არ მინდა ვაწყენინო.

განსაკუთრებით უნდა გამოვყო ლევან შერაზადიშვილი ლევან ხიმშიაშვილის როლში. მე იგი მხოლოდ ერთ სპექტაკლში მყავდა დაკავებული და მეორეში მთავარი როლის შესრულება მოუხდა, მაგრამ მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი ლევანი, თუმცა ოდნავ ახალგაზრდა, მაგრამ ნამდვილი განსახიერებაა განსაცდელში ჩავარდნილი ქართველი ვაჟკაცისა. მისი გარეგნობა, ხმა, ტემპერამენტი კარგი განაცხადი იყო მომავალი მსახიობისათვის. იგი თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტია და მალე პროფესიონალი მსახიობი გახდება.

„სამშობლომ“ გაამართლა ჩვენი იმედები. მას ცენტრალური პრესა და ტელევიზია გამოეხმაურა, მაგრამ განსაკუთრებით შთამბეჭდავი რეცენზია ადგილობრივ გაზეთში სათაურით „ჩემი ხატია სამშობლო“ დალი ბერიშვილმა გამოაქვეყნა. ამ დადგმაში მე სიმონ ლიონიძეს ვასრულებდი. ამ როლით შევდგი ფეხი სცენაზე და ამ როლით დავტოვე იგი. მართალია, ახალგაზრდობაში ყოველთვის ლევან ხიმშიაშვილს ვასრულებდი, მაგრამ სიმონი და ლევანი ჩემთვის ყოველთვის ერთნაირად საყვარელი იყო.“

გიორგი შოთაძე

<u>სურათებზე:</u> 1990 წლის 30 იანვარი. დავით ერისთავის პიესა „სამშობლოს“ პრემიერა ონის სახალხო თეატრის სცენაზე. სიმონ ლიონიძე — საქართველოს სახალხო არტისტი გიგა ჯაფარიძე; ბაბუა და შვილიშვილი: მსაჯული ისმაილი — ნესტორ დუშუაშვილი (მარჯვნივ), შაჰის სარდალი ისრაფილი — გია პლატონიშვილი.

სპორტი

„ტოჩის“ მეორე...

ივლისის ბაშოზე ტოჩინოშინმა მეორე გამარჯვება მოიპოვა. ქართველი სუმოისტი მე-16 მაეგაშირა ნიშიკიგის დაუპირისპირდა და მისი დამარცხება ჰატაკიკომის ილეთით მოახერხა.

„ტოჩიმ“ შერკინებისთანავე მეტოქეზე უპირატესობა მოიპოვა, მის მავაშში ხელის ჩავლებას და დოჰიოდან გადაყვანას ცდილობდა, იაპონელმა კი წონასწორობის შენარჩუნება ვერ შეძლო და დამარცხდა. ეს აღნიშნული წყვილის მე-7 დაპირისპირება იყო, რომელთაგანაც ქართველმა 5 მოიგო, 2-ჯერ კი წააგო.

ლევანს მიმდინარე ბაშოზე 2 მოგების საპირისპიროდ ამდენივე მარცხი აქვს და იმისთვის, რომ დადებითი ბალანსი გაინაღდოს, დარჩენილი 11 ორთაბრძოლიდან მინიმუმ 6-ის მოგება სჭირდება.

დღეს გორგაძის მორიგი მეტოქე მე-16 მაეგაშირა სადანოუმი იქნება, რომელსაც აქამდე 7-ჯერ შეხვედრია და ურთიერთშეხვედრებში მოგება-წაგების ბალანსი ტოჩინოშინის სასარგებლოდ 4:3-ზეა.

კობა კობახიძე

ჯარიმების ოსტატი

ლუკა სილაგაძემ ლატვიის ჩემპიონატში ზედიზედ მეორე გოლი გაიტანა — ორჯერვე ჯარიმით და ოთხდღიანი ინტერვალით. „ვალმიერას“ 21 წლის ქართველმა ფეხბურთელმა „მეტასთან“ შეხვედრაში ანგარიში მე-14 წუთზე გახსნა.

მისმა გუნდმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საბოლოოდ ქულას დასჯერდა (2:2).

სილაგაძე „ვალმიერაში“ წელს გადავიდა და 8 თამაშში 2 ბურთი აქვს გატანილი, მისი გუნდი კი მესამე ადგილზეა. ვთქვათ ისიც, რომ ლუკა მანამდე „რუსთავის“ ღირსებას იცავდა.

ვიტალი ჯაფარიძე

SIC!

ისევ განგებ გაჩენილი ხანძრები!

რატომ ვერ პოულობს სამინისტრო კანონდამრღვევ მოქალაქეებს?

ცეცხლის ალში გახვეული ალაზნისა და შირაქის ველები თითქმის მთელი კახეთიდან ხელისგულივით ჩანს, განსაკუთრებით ღამით.

ასობით ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთში, იქ, სადაც ხორბლისა და ქერის მოსავალი უკვე აიღეს, ხანძრებს უმეტეს შემთხვევაში ხელოვნურად თავად მიწის მფლობელები აჩენენ და შემდეგ სამართალდამცავებს ემალებიან, რათა ჯარიმა თავიდან აიცილონ.

ხანძრის გაჩენის მიზეზი მოსავლის აღების შემდეგ ნაკვეთების თივისგან გათავისუფლებაა. განგებ გაჩენილი ხანძრების მავნე პრაქტიკა რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. არსებობს აკრძალვები და ჯარიმებიც, თუმცა სპეციალისტები ამბობენ, რომ რეალურად წლიდან წლამდე არაფერი იცვლება.

თავად ფერმერებს თუ შეეკითხები, მათ შორის მას, ვის ნაკვეთშიც ხანძარი იყო, ამბობს, რომ ცეცხლი შემთხვევით გაჩნდა და მომხდარზე არაფერი იცის, თუმცა ამ პრობლემაზე ლაპარაკობენ სამოქალაქო აქტივისტები, გარემოს დამცველები და ის ფერმერები, ვინც მავნე პრაქტიკის გამოყენებაზე უარი თქვა.

წნორში მცხოვრები ნიკა ბაგალიშვილი მიწის მფლობელია, ყოველ წელს მოსავალი მოჰყავს და აგროსკოლაც აქვს, სხვა საკითხებთან ერთად დაინტერესებულ პირებს ასწავლის, როგორ მოიყვანონ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი და როგორ გაამდიდრონ ნაკვეთები ბუნებრივ პირობებში აგროქიმიკატების გარეშე.

ნიკა ბაგალიშვილმა მოსწავლეებთან ერთად ექსპერიმენტი ჩაატარა იმის დასადგენად, თუ რა ზიანს აყენებს მიწის გასუფთავების მიზნით ხელოვნურად გაჩენილი ხანძარი:

„ბავშვებისთვის გასაგები რომ ყოფილიყო, ავიღეთ დამწვარი და საღი მიწა. დავთესეთ ხორბალი. ყველამ თვალნათლივ დაინახა, თუ რა შედეგი მოაქვს მიწის დაწვას. დამწვარ მიწაში ხორბალი აღმოცენდა, თუმცა მალევე დაიწყო კვდომა, ხოლო იქ, სადაც არ იყო დამწვარი მიწა, საღი ხორბალი გაიზარდა. მიწა არის ცოცხალი ორგანიზმი და მისი დაწვა იწვევს უკიდურესად ცუდ შედეგებს“.

ნიკა ბაგალიშვილმა და მისი აგროსკოლის მოსწავლეებმა ექსპერიმენტით დაადასტურეს, რომ მიწის ნაკვეთებში გაჩენილი ხანძრები თავად მიწებს მოუსავლიანს ხდის. ნიკა ფიქრობს, რომ ფერმერთა მასობრივი ინფორმირებისთვის უფრო მეტია გასაკეთებელი. ბაგალიშვილი მიიჩნევს, რომ კანონდამრღვევი მოქალაქეებისთვის მოსამატებელია ჯარიმების რაოდენობაც.

კანონაღსრულების პრობლემაზე ლაპარაკობს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენელი კახეთში კახაბერ სუხიტაშვილი. ის მიიჩნევს, რომ პრობლემის მოგვარება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ფერმერები თავადვე დარწმუნდებიან, რომ რასაც აკეთებენ, საზიანოა არა მარტო პირადად მათთვის, არამედ სამყაროსთვის.

ბექა გონაშვილი, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ცხოვრობს და ყოველ წელს მოჰყავს მარცვლეული კულტურები, მიწების გასუფთავების მოტივით ხანძარს არ აჩენს. ის ხორბლის აღების შემდეგ მიწის ნაკვეთს დისკავს და თივა დაჭრილი სახით კვლავ ნიადაგში რჩება, სასუქად გარდაიქმნება და მომდევნო წელს ნაკლები ქიმიური საშუალებაა საჭირო მოსავლიანობის გასაზრდელად. ბექა ამბობს, რომ ამის გაკეთება დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც ფერმერთა ნაწილი ხანძრებს აჩენს. ბექა გონაშვილი პრობლემის მოგვარების სამ ვერსიას განიხილავს:

„ჩემი აზრით, პრობლემა მოგვარდება, თუკი: 1. სახელმწიფო ან დონორი ფერმერებს ეტყვის, რომ შენ თუ არ გადაწვავ მიწას, მე დაგიფინანსებ სათესლე მასალას ნაწილობრივ, შეიძლება ეს იყოს 100 ლარის ღირებულების საწვავიც. 2. რა თქმა უნდა, ცნობიერების დონე ასამაღლებელია და აქ მეორე აზრი არ არის. უბრალოდ, სახელმწიფომ ადამიანებს საშუალება უნდა მისცეს, რომ მათ თავის თავზე გამოსცადონ და ნახონ, რომ კარგ აზრს სთავაზობ, და მესამე — ეს არის, რა თქმა უნდა, საჯარიმო სანქცია, რომელიც ახლა 200 ლარია და ის გაცილებით მაღალი უნდა იყოს“.

მავნე პრაქტიკა და არასწორი სამეურნეო ქმედება — ასე აფასებენ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში კახეთში ხელოვნურად ხანძრების გაჩენას. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნელი კორკოტაძის თანახმად, მათ უწყებას ამ პერიოდში განსაკუთრებული კონტროლი და მეთვალყურეობა აქვს დაწესებული, თუმცა პასუხი არა აქვს კითხვაზე, წელს რამდენი კანონდამრღვევი გამოავლინეს და დააჯარიმეს. კორკოტაძე ამბობს, რომ სამართალდამრღვევი პირების გამოვლენა-იდენტიფიცირება ჭირს:

„უმეტეს შემთხვევაში შესაძლოა, სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირება საერთოდ ვერ მოხდეს, რადგან კონკრეტულმა ფერმერმა თქვას, სხვამ გააჩინა ხანძარიო. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის წესიდან გამომდინარე, ჩვენ გვჭირდება სამართალდამრღვევი პირის იდენტიფიცირება, სხვა შემთხვევაში ვერ მოვახდენთ რეაგირებას. ყველაზე პრობლემურ საკითხად მიმაჩნია სწორედ სამართალდამრღვევის იდენტიფიცირება... გარდა ამისა, ცხადია, ვერც ერთი სახელმწიფო უწყება, მუდმივად ვერ იქნება ნებისმიერ ადგილზე, თუ მოქალაქეებისთვის შეგნება და ფერმერების დამოკიდებულება არ შეიცვალა. მათ უნდა გაითავისონ, რომ საკუთარი ქონება არ გაანადგურონ და კანონი არ დაარღვიონ“.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში ამბობენ, რომ მიწის ნაკვეთების გასუფთავების მიზნით გადაწვა კანონდარღვევაა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ნარჩენების მართვის კოდექსში გაწერილია ჯარიმებიც, რომელიც 200-დან 1000 ლარამდეა. სამოქალაქო აქტივისტები და გარემოს დამცველები მიიჩნევენ, რომ გასაზრდელია ჯარიმების რაოდენობა და გასაძლიერებელია ზედამხედველობაც.

გიორგი ალადაშვილი

23 წლის თამარ ბაჩალიაშვილის ტრაგედია

თამარ ბაჩალიაშვილის მამა ჯუმბერ ბაჩალიაშვილი შვილის გარდაცვალების საქმეს თამარ ბაჩალიაშვილის სამსახურსაც უკავშირებს.

„აწამეს და მოკლეს ბავშვი, ასპროცენტიანია. აქედან მოტყუებით გაიყვანეს. სამსახურში ზეწოლის ქვეშ იყო. ან მეორე ვერსიაა, სხვა ვარიანტი, ვინმე ბიჭმა მოიტაცა. სამსახურზე ვფიქრობ უფრო, იქიდან რომ მოდიოდა, სულ აგრესიული იყო, ორჯერ-სამჯერ ტიროდა კიდეც“, — აღნიშნა მან.

რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ, 23 წლის თამარ ბაჩალიაშვილი თეთრიწყაროს ტყეში გარდაცვლილი იპოვეს.

თამარ ბაჩალიაშვილი შაბათს სახლიდან საკუთარი ავტომობილით გავიდა და უკან არ დაბრუნებულა.

იგი კიბერსპეციალისტი, პროგრამისტი იყო. გაუჩინარებამდე ორი დღით ადრე იგი სამსახურიდან, შპს „ზეგ“-იდან წამოვიდა.

* * *

კომპანიაში, სადაც გარდაცვლილი თამარ ბაჩალიაშვილი მუშაობდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები შევიდნენ..

ოფისში შესვლამდე მათ მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებიათ.

განცხადება გააკეთა კომპანიის დირექტორმა და აღნიშნა, რომ გარდაცვლილ თამარ ბაჩალიაშვილს სამსახურში არანაირი პრობლემა არ ჰქონდა. მანამდე კი, კომპანიის დირექტორმა მიმართვაც გაავრცელა.

* * *

თეთრიწყაროს ტყეში, ადგილზე გამომძიებლები მუშაობენ. ცხედარი შემთხვევის ადგილიდან ექსპერტიზაზე გუშინ გადაასვენეს.

შემთხვევის ადგილი შემოსაზღვრულია ყვითელი ლენტით. საგამოძიებო პროცესში ექსპერტ-კრიმინალისტებიც ჩაერთვებიან.

დედამიწა ტყეებისგან ნაძგურდება

დედამიწამ ბოლო 30 წლის განმავლობაში 178 მილიონი ჰექტარი ტყე დაკარგა. საგანგაშო სტატისტიკას გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია აქვეყნებს.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ყველაზე კატასტროფული მაჩვენებელი აფრიკაშია, სადაც 2010-2020 წლებში ტყის მასივი 3,9 მილიონი ჰექტარით შემცირდა.

საგანგაშო ვითარების მიუხედავად, გაეროს ექსპერტები აცხადებენ, რომ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ტყეების განადგურების დინამიკა მნიშვნელოვნად არის შემცირებული, რაც ზოგიერთ ქვეყანაში ხეების მოჭრაზე დაწესებულ შეზღუდვებს უკავშირდება. დღეისათვის ტყის მასივი ხმელეთის 1/3-ს (4 მილიარდი ჰექტარი) იკავებს.

ტრამპის განცხადებით ვირუსის გამეორების შემთხვევაში ქვეყანა არ ჩაიკეტება

აშშ-ის პრეზიდენტი აცხადებს, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის დამტკიცების შემთხვევაში მასზე წვდომა მოსახლეობას დაუყოვნებლივ ექნება. ამის შესახებ თეთრი სახლის ლიდერმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა.

ტრამპმა აღნიშნა, რომ ქვეყნის ჩაკეტვით აშშ-ის მთავრობამ, სავარაუდოდ, მილიონობით სიცოცხლე გადაარჩინა.

„ჩვენ ქვეყანა თავდაპირველად საავადმყოფოების გადავსების თავიდან ასაცილებლად ჩავკეტეთ, თუმცა ამას ხელახლა ვეღარ გავაკეთებთ. ამას ქვეყნისთვის სავალალო ეკონომიკური და საზოგადოებრივი ჯანდაცვის კატასტროფულ შედეგებამდე მივყავართ.

ქვეყნის ჩაკეტვით, სავარაუდოდ, მილიონობით სიცოცხლე გადავარჩინეთ, თუმცა ამას მეორედ ვერ გავაკეთებთ. ახლა მეტი ვიცით ვირუსის შესახებ და მალე გვექნება წვდომა ვაქცინაზე და სამკურნალო პრეპარატებზე.

ვაქცინის შემუშავება ჩვენთვის მთავარ პრიორიტეტად რჩება. ვაქცინის ორი შესაძლო ვარიანტი ამ თვეში კვლევების საბოლოო ეტაპზე გადავა. ამას რეკორდულ ვადებში მივაღწიეთ.

ჩვენ მასიურად ვაწარმოებთ ყველაზე იმედისმომცემ ვაქცინებს და პირველი წარმატებული ვაქცინა დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი იქნება. სამხედროები მზად არიან, რომ ვაქცინის გავრცელება დაუყოვნებლივ დაიწყონ“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

დელის მოსახლეობის მეოთხედი დაინფიცირდა

ინდოეთის დედაქალაქ დელის მოსახლეობის 22 პროცენტზე მეტი „კოვიდ-19“-ით დაინფიცირდა. ამის შესახებ ინფორმაციას „დოიჩე ველე“, ინდოეთის დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრზე დაყრდნობით ავრცელებს.

ქვეყნის დაავადებათა კონტროლის ცენტრმა 21 000-ზე მეტი ადამიანი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეამოწმა და აღმოჩნდა, რომ 23,48 პროცენტს ვირუსის ანტისხეულები აქვს. პოზიტიური და ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით, დადგინდა, რომ მოსახლეობის 22, 86 პროცენტი „კოვიდ-19“-ით დაინფიცირდა.

ეპიდემიოლოგი ექიმი ჯაიპრაკაშ მულიილის განცხადებით, ინფიცირებული მოსახლეობის პროცენტულობა ზოგიერთ ადგილას შესაძლოა, ბევრად მაღალი იყოს. დელიში, სადაც 29 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ოფიციალურად „კოვიდ-19“-ით ინფიცირების 123 747 შემთხვევაა დადასტურებული და 3 663 ადამიანი დაიღუპა.

ინდოეთის დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა კვლევა 27 ივნისიდან 10 ივლისამდე ჩაატარა. ინფიცირების შემთხვევებით ინდოეთი აშშ-ის და ბრაზილიის შემდეგ, მსოფლიოში მესამე ადგილზეა. ქვეყანაში 1.2 მილიონამდე შემთხვევაა ოფიციალურად დადასტურებული, 28 700-ზე მეტი კი დაიღუპა.

ჩინეთის საკონსულოს უხურავენ

„21 ივლისს აშშ-მა ჩინეთს ჰიუსტონში ჩინეთის გენერალური საკონსულოს დახურვა მოსთხოვა. ეს აშშ-ის მხრიდან ცალმხრივი პოლიტიკური პროვოკაციაა, რაც საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპების სერიოზული დარღვევაა“, — განაცხადა ჩინეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა ვან ვენბინმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ვაშინგტონის ეს ნაბიჯი ჩინეთის მიმართ აშშ-ის ქმედებების უპრეცედენტო ესკალაციაა.

„აშშ-ის ტერიტორიაზე ჩინეთის დიპლომატიური მისიების საქმიანობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის გაძლიერებას ემსახურება“, — დასძინა ვან ვენბინმა.

ოლიმპიური ჩემპიონობიდან „მის სამყარომდე“

ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კანადელმა მოციგურავემ გებრიელ დეილმანმა სილამაზის კონკურსში „მის ონტარიო“ გაიმარჯვა.

ახლა დეილმანი 2020 წლის „მის კანადის“ ტიტულისთვის იბრძოლებს. ნოემბერში დაგეგმილ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში კი ოლიმპიური ჩემპიონი თავის ქვეყანას „მის მსოფლიოს“ კონკურსზე წარადგენს.

ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი დეილმანმა 2018 წელს, ფიონჩანგის ოლიმპიადაზე მოიპოვა, 2017 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე კი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

სელფის მოყვარული დათვი

მექსიკაში, ჩიფინქის ეკოლოგიურ პარკში ახალგაზრდები სელფის იღებდნენ, თუმცა კადრში არასასურველი სტუმარი გამოჩნდა. BBC-მ გაავრცელა ვიდეო, სადაც ჩანს, როგორ ცდილობს დათვი ვიზიტორებთან კონტაქტს.

ბარიბალის სახეობის, იგივე შავი დათვები ამ პარკის ბინადრები არიან. ექსპერტები ადამიანების მათთან მიახლოებას სახიფათოდ მიიჩნევენ.

ვიდეოში ჩანს, როგორ ცდილობენ დამსვენებლები, შეინარჩუნონ სიმშვიდე და ცხოველი მკვეთრი მოძრაობებით არ გააღიზიანონ.

საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში, დათვს ზიანი არავისთვის მიუყენებია და მხოლოდ ფოტოს ავტორის თმების აწეწვით დაკმაყოფილდა.

სახლში დასაბრუნებლად 80 კილომეტრი გაიარა

აშშ-ში, კანზასის შტატში ივლისის დასაწყისში გაუჩინარებული ძაღლი თავისი პატრონის ძველ სახლში იპოვეს.

4 წლის ლაბრადორი კლიო 12 ივლისს დაიკარგა, რამდენიმე დღეში კი თავის ძველ სახლთან, მისურის შტატში იპოვეს. ცხოველმა 80 კილომეტრი გაიარა.

კლიოს ოჯახი მისურიდან კანზასში 2 წლის წინათ გადაბარგდა. სახლის ახალმა მფლობელებმა ძაღლი ვეტერინართან მიიყვანეს, მიკროჩიპის სკანირების შემდეგ კი კლიოს პატრონს დაუკავშირდნენ. მისთვის გაუგებარია, როგორ მოახერხა ძაღლმა ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობა, რადგან გზად მდინარის და რამდენიმე გზატკეცილის გადაკვეთა მოუწევდა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-25

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვებან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0701; ევრო - 3.5165;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9006;
100 რუბლი - 4.3433; თურქული ლირა - 0.4479;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8059;
1000 სომხური დრამი - 6.3533.

ამინდი 23 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+31
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge